დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები;

თამთა კვარაცხელია;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ნინო აბესაძე;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ინგა მოსიძე;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ბლუაშვილი;	უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
მარიკა ბოცვაძე;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
მარინე მორჩილაძე;	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ირმა ხუნდაძე;	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მაკა ყიფშიძე;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია;	სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ცირეკიძე;	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248053779

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი
ფაქტობრივი მისამართი	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი მე-3 ქუჩა, №7
საფოსტო ინდექსი	6500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	khikhadziri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595084069

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 26 0000130774. 08/02/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 12 და 13 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	სახელმწიფო ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი მე-3 ქუჩა, №7 (1 შენობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	სახელმწიფო ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი მე-3 ქუჩა, №7 (1 შენობა)
3	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	სახელმწიფო ენა	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი მე-3 ქუჩა, №7 (1 შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 8 თებერვლის MES 5 26 0000130774 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2026 წლის 12 და 13 მარტს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლაში. (მისამართი; ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიხაძირი, მე-3 ქუჩა, N 7) ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შემუშავდა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძნებით N 01-03/27 (12.03. 2026 წ.) დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ექსპერტები სკოლაში ვიზიტისას გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. დაწყებითების საგნობრივი ექსპერტი დისტანციურად, ინდივიდუალურ რეჟიმში გაესაუბრა შესაბამისი კათედრის წევრებს და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებს. მან გასცა შესაბამისი რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც ასახულია შესაბამისი რჩევების გრაფაში.

ვიზიტი განხორციელდა კოლეგიალურ გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ გაიცა კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	• **ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა მიწერილობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის მდგრადობის შემოწმებასთან დაკავშირებით. (MES 0 26 0000021581, 14/01/2026)** • **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი, არ არის დამონტაჟებული გამდინარი წყლის ონკანი.** სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი ***12/23/2025 - 12/23/2026*** წელს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.
ინდიკატორი N 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობაში ცენტრალურ შესასვლელში არის პანდუსი, თუმცა სკოლის შიგნით სართულებზე გადაადგილებისათვის არ არის პანდუსი, ადაპტირებულია სველი წერტილი შშმ პირისთვის. გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მეორე სართულზეა განთავსებული ლაბორატორიები, აღნიშნული მოცემულობის გამო შესაძლოა მომავალში ხელი შეეშალოს შშმ პირთა გადაადგილებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 12/23/2025 - 12/23/2027 წელს უნდა მოხდეს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**უცხო ენები - (ინგლისური, რუსული ენები)** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ვადებში (04.08.2026 – 09.10.2026 წ.) გადაიხედოს ორივე უცხოური ენის კურიკულუმი** და სწორად იყოს წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და მათი ქვესაკითხები; თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს არა ზოგადად (ტექსტი, ჟანრი, კულტურათა დიალოგი, ენობრივი საშუალებები, სამეტყველო ქმედება და ა.შ.), არამედ კონკრეტულად. მაგალითად, მოცემული იყოს არა ზოგადად ტექსტი, არამედ ტექსტი: კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები (კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები, მიმღები (ადრესატი), გამგზავნი (ადრესანტი), აუდიტორია და მათი ვინაობა. სამეტყველო ქმედება : სოციალურ რიტუალებში (მისალმება, დამშვიდობება), ინფორმაციის მოსაპოვებლად (სახელი, ასაკი, ინტერესები), ქმედებებისა და საქმიანობების შესახებ (ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა) და ა.შ. სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და მათი სსაკითხები დაკონკრეტდეს იმის და მიხედვით თუ რომელი მათგანი იფარება ამა თუ იმ თემის ფარგლებში. შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების იდეა/პირობა მოცემული იყოს დეტალურად და გასაგებად, შეესაბამებოდეს თემის ფარგლებში წარმოდგენილ საკითხებს, სამიზნე ცნებებს/ქვეცნებებსა და მათ ქვესაკითხებს, შევსებული იყოს თითოეული კომპონენტის გრაფა ყველა თემასთან მიმართებით.
სტანდარტი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხო ენები; (ინგლისური, რუსული)** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ვადებში (04.08.2026 – 09.10.2026 წ.) გადაიხედოს კურიკულუმები, კერძოდ:** რუბრიკის სათაური და დავალების პირობა/იდეა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ერთი დავალების რუბრიკა

		წარმოდგენილი იყოს ერთი ფორმატით და კრიტერიუმები შეესაბამებოდეს დავალების პირობას. გადაიხედოს შესაფასებელი დავალებების პირობები და განისაზღვროს თუ რის შეფასებას ისახავს მიზნად, ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულება (მაგალითად, ზეპირი კომუნიკაცია) თუ რამდენიმე ერთად (მაგალითად ზეპირი და წერითი კომუნიკაცია). დავალების იდეა/პირობაც გაიწეროს შესაბამისად, სადაც დეტალურად იქნეაბ აღწერილი თუ როგორ ხდება კონკრეტული მიმართულებების დავალებაში გაერთიანება და შეფასება.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის კურიკულუმი	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ვადებში (04.08.2026 – 09.10.2026 წ.) გადაიხედოს ორივე უცხოური ენის კურიკულუმი** და თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს არა ზოგადად (ტექსტი, ჟანრი, კულტურათა დიალოგი, ენობრივი საშუალებები, სამეტყველო ქმედება და ა.შ.), არამედ კონკრეტულად. მაგალითად, მოცემული იყოს არა ზოგადად ტექსტი, არამედ ტექსტი: კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები (კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები, მიმღები (ადრესატი), გამგზავნი (ადრესანტი), აუდიტორია და მათი ვინაობა. სამეტყველო ქმედება : სოციალურ რიტუალებში (მისალმება, დამშვიდობება), ინფორმაციის მოსაპოვებლად (სახელი, ასაკი, ინტერესები), ქმედებებისა და საქმიანობების შესახებ (ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა) და ა.შ. სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და მათი სსაკითხები დაკონკრეტდეს იმის და მიხედვით თუ რომელი მათგანი იფარება ამა თუ იმ თემის ფარგლებში. შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების იდეა/პირობა მოცემული იყოს დეტალურად და გასაგებად, შეესაბამებოდეს თემის ფარგლებში წარმოდგენილ საკითხებს, სამიზნე ცნებებს/ქვეცნებებსა და მათ ქვესაკითხებს, შევსებული იყოს თითოეული კომპონენტის გრაფა ყველა თემასთან მიმართებით. სასურველია დავალების იდეა/პირობა მიმერთებოდეს მოსწავლეს და წარმოდგენილი იყოს მეორე პირში. ასევე, თუკი კურიკულუმებში დარჩება კონტექსტ მაგალითის კომპონენტი, აღნიშნულ გრაფაში მითითებული იყოს არა ''სახელმძღვანელო'', არამედ შესასრულებელი დავალების ნიმუში (იქნება ეს კონკრეტული გვერდის მითითებით სახელმძღვანელოდან, ლინკის სახით თუ უკვე შესრულებული დავალება ფოტოს სახით) ან მოკლედ იყოს წარმოდგენილი ის კონტექსტი

		(აქტივობები), რომლითაც გამოჩნდება თუ როგორ ხდება მოსწავლეების მომზადება შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების შესრულებამდე. ყველა კურიკულუმში იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. კურიკულუმები წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე და ენები არ იყოს არეული.
სტანდარტი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხო ენები; (ინგლისური, რუსული)** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ვადებში (04.08.2026 – 09.10.2026 წ.) გადაიხედოს კურიკულუმები, კერძოდ:** ერთი კონკრეტული დავალების რუბრიკა წარმოდგენილი იყოს იმ ფორმატით/სახით, სადაც ჩაშლილია ქულათა დიაპაზონი.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ვადებში (04.08.2026 – 09.10.2026 წ.) გადაიხედოს** ორივე უცხოური ენის კურიკულუმები და თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს არა ზოგადად (ტექსტი, ჟანრი, კულტურათა დიალოგი, ენობრივი საშუალებები, სამეტყველო ქმედება და ა.შ.), არამედ კონკრეტულად. მაგალითად, მოცემული იყოს არა ზოგადად ტექსტი, არამედ ტექსტი: კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები (კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები, მიმღები (ადრესატი), გამგზავნი (ადრესანტი), აუდიტორია და მათი ვინაობა. სამეტყველო ქმედება : სოციალურ რიტუალებში (მისალმება, დამშვიდობება), ინფორმაციის მოსაპოვებლად (სახელი, ასაკი, ინტერესები), ქმედებებისა და საქმიანობების შესახებ (ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა) და ა.შ. სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და მათი სსაკითხები დაკონკრეტდეს იმის და მიხედვით თუ რომელი მათგანი იფარება ამა თუ იმ თემის ფარგლებში. შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების იდეა/პირობა მოცემული იყოს დეტალურად და გასაგებად, შეესაბამებოდეს თემის ფარგლებში წარმოდგენილ საკითხებს, სამიზნე ცნებებს/ქვეცნებებსა და მათ ქვესაკითხებს, შევსებული იყოს თითოეული კომპონენტის გრაფა ყველა თემასთან მიმართებით. სასურველია დავალების იდეა/პირობა მიმერთებოდეს მოსწავლეს და წარმოდგენილი იყოს მეორე პირში. ასევე, თუკი კურიკულუმებში დარჩება კონტექსტ მაგალითის კომპონენტი, აღნიშნულ გრაფაში მითითებული იყოს არა ''სახელმძღვანელო'', არამედ შესასრულებელი დავალების ნიმუში (იქნება ეს კონკრეტული გვერდის მითითებით სახელმძღვანელოდან, ლინკის სახით თუ უკვე შესრულებული დავალება ფოტოს

		სახით) ან მოკლედ იყოს წარმოდგენილი ის კონტექსტი (აქტივობები), რომლითაც გამოჩნდება თუ როგორ ხდება მოსწავლეების მომზადება შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების შესრულებამდე. ყველა კურიკულუმში იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. კურიკულუმები წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე და ენები არ იყოს არეული.
სტანდარტი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**უცხო ენები; (ინგლისური, რუსული)** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში მოცემულ ვადებში გადაიხედოს (04.08.2026 – 09.10.2026 წ.) კურიკულუმები, კერძოდ:** ერთი დავალების რუბრიკა წარმოდგენილი იყოს ერთი ფორმატით და კრიტერიუმები შეესაბამებოდეს დავალების პირობას.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ პედსაბჭოს სხდომა და სამეურვეო საბჭოს სხდომები სხვადასხვა თარიღებში ჩანიშნოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმში არ იყო განსაზღვრული სკოლის მისია ხედვა ღირებულებების საკითხი წარდგენილი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ჩაამატოს აღნიშნული საკითხი სამეურვეო საბჭოს ოქმში.

ინდიკატორი 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.	მეთოდოლოგიის შემუშავების ბრძანება და მისია, ხედვა ღირებულებების შექმნის მიზნით გამოცემული სამუშაო ჯგუფის ბრძანება ერთსა და იმავე დღეს არის ბრძანებით დამტიცებული, ხოლო 8 სექტემბრით თარიღდება აღნიშნული ჯგუფის მიერ გამოცემული ოქმი - **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბრძანებებს შორის დაიცვას გონივრული ვადები.
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიულ გეგმაში გაწეროს სტრატეგიული მიზნების შესრულების კონკრეტული ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**სკოლას მიეცა რჩევა**, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული შენობების რაოდენობა ფაქტობრივ მოცემულობასთან.
ინდიკატორი 3.6.1.2.	**სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ**	**სკოლას მიეცა რჩევა** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

	მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას	
ინდიკატორი 3.6.2.2.	**სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**	**სკოლას მიეცა რჩევა**, თვითშეფასების საფუძველზე შექმნას და დირექტორ ბრძნებით დაამტკიცოს - ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	**სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული არა აქვს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამები.** სკოლის მოსწავლეებთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული მომსახურების პრაქტიკა სკოლას არ გააჩნია და მხოლოდ სადამრიგებლო საათებს იყენებენ ამ მიმართულებით. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლას არა აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აუხლოეს ტერიტორიულ ერთეულში არსებულ კოლეჯებთან დადონ მემორანდუმები.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი:** სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით **ტექნოლოგიები:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩო იწყებოდეს საგნის მიმართულებით, შემდეგ ცნება/ქვეცნება, რასაც უნდა მოსდევდეს საკითხები. ასევე, რადგან სტანდარტით მიერ შემოთავაზებული ყველა ცნება, მათივე მიერ განიხილება შესაბამის კლასებში, მოხდეს კურიკულუმებშიც მათი ჩამატება

ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**უცხოური ენები:** სასურველია ორივე უცხოურ ენაში გაიწეროს რესურსები და ლინკები იყოს მოქმედი. ასევე, რესურსების გრაფის დასახელება კურიკულუმებში იყოს არა მხოლოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის განკუთვნილი რესურსები, არამედ -ზოგადად, ''რესურსები'', რომელიც მოიაზრებს თემის დასაფარად საჭირო ყველა რესურსს.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა კურკულულუმის შედგენისას ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნერებების კათედრასთან და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება საგნობრივი სტანდარტით გასაზღვურლი ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას. სამიზნე ცნებები და ძირითადი თემები ჩაიწეროს ისე როგორც საბაზო და საშუალო საფხურზე არის წარმოდგენილი. **ესთეტიკური აღზრდა:** მიზანშეწონილია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის გადამუშავება ისე, რომ თითოეულ თემაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საკითხი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ასევე შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები იყოს კონკრეტულად დაკავშირებული თემაში შესწავლილ საკითხებთან. თემების რაოდენობა უნდა ფარავდეს სასწავლო წლის სრულ პერიოდს და კურიკულუმში გამოყენებული რესურსები შეესაბამებოდეს სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმი უფრო მკაფიოდ უნდა ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის გზას. **მათემატიკა:** ა) I კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების ბარათში დასაკორექტირებელია სამიზნე ცნებები. ბ) II და III კლასის კურიკულუმებში არის ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ საკითხების გრაფაში წერის კონტექსტ მაგალითები და პირიქით კონტექსტ მაგალითის გრაფაში წერია საკითხები. გ) IV კლასის კურიკულუმში თემა „ დრო“ შემოქმედებითი დავალების გრაფაში მითითებული დავალება „მოგზაურობა საქართველოში’ არის შემდეგი თემის „ მოქმედებები რიცხვებზე“.

		დ) V კლასის კურიკულუმში დასაზუსტებელია თემების დასახელებები სტანდარტიდან. ე) კურიკულუმებში (სამივე საფეხურზე) სასურველია სავარაუდო საათობრივი განაწილება და წლიური საათობრივი დატვირთვა მოვიდეს შესაბამისობაში **უცხო ენები;** სასურველია დავალების იდეა/პირობა მიმერთებოდეს მოსწავლეს და წარმოდგენილი იყოს მეორე პირში. ასევე, თუკი კურიკულუმებში დარჩება კონტექსტ მაგალითის კომპონენტი, აღნიშნულ გრაფაში მითითებული იყოს არა ''სახელმძღვანელო'', არამედ შესასრულებელი დავალების ნიმუში (იქნება ეს კონკრეტული გვერდის მითითებით სახელმძღვანელოდან, ლინკის სახით თუ უკვე შესრულებული დავალება ფოტოს სახით) ან მოკლედ იყოს წარმოდგენილი ის კონტექსტი (აქტივობები), რომლითაც გამოჩნდება თუ როგორ ხდება მოსწავლეების მომზადება შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების შესრულებამდე. ყველა კურიკულუმში იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. კურიკულუმები წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე და ენები არ იყოს არეული
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია, დიფერენცირებულ დავალებებს დაერთოს საგნის გრძელვადიანი მიზნები და შეფასების რუბრიკები. რითაც უფრო მარტივი იქნება შედეგების შეფასება.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია,პედაგოგმა შეფასების დაწერისას ყურადღება გაამახვილოს ,, ჩვენი საქართველოს" სამიზნე ცნებებზე , ქვეცნებებზე, შედეგების ინდიკატორებზე და მათთან მიმართებით აჩვენოს თუ რა ცოდნას ფლობს მოსწავლე. იხელმძღვანელოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. რის საფუძველზეც რჩევაც უფრო მკაფიო იქნება და ნაშრომის გაუმჯობესების დინამიკაც უფრო ნათელი.

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი: გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევა, I-IV კლასებში შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა.
ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი და წყლის ონკანი.ასევე კარგი იქნება თუ მეტი ყურადღება მიექცევა უსაფრთხოების ზომებს ლაბორატორიაში **სპორტი:** სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშის ლეიბები, ტანვარჯიშის კედელი, ბაგირი, მცირე ზომის ბურთები), რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი:** სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**ესთეტიკური აღზრდა:** მიზანშეწონილია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის გადამუშავება ისე, რომ თითოეულ თემაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საკითხი, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, ასევე შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები იყოს კონკრეტულად დაკავშირებული თემაში შესწავლილ საკითხებთან. თემების რაოდენობა უნდა ფარავდეს სასწავლო წლის სრულ პერიოდს და კურიკულუმში გამოყენებული რესურსები შეესაბამებოდეს სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს.

		კურიკულუმი უფრო მკაფიოდ უნდა ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის გზას.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**უცხოური ენა** სასურველია, მეშვიდე კლასის კურიკულუმში გაიწეროს რესურსები და ლინკები იყოს მოქმედი. ასევე, რესურსების გრაფის დასახელება კურიკულუმებში იყოს არა მხოლოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის განკუთვნილი რესურსები, არამედ -ზოგადად ''რესურსები'', რომელიც მოიაზრებს თემის დასაფარად საჭირო ყველა რესურსს.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია,დიფერენცირებულ დავალებებს დაერთოს საგნის გრძელვადიანი მიზნები და შეფასების რუბრიკები.რითაც უფრო მარტივი იქნება შედეგების შეფასება.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**მათემატიკა:** სასურველია დანართ 2 (საბაზო საფეხურის კურიკულუმი) და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ათქულიანი სისტემით შეფასების ოთხი დონის ცხრილში ჩასწორდეს შეფასებების დასახელება დონეების მიხედვით: უნდა ეწეროს საშუალოზე მაღალი და წერია საბაზოზე მაღალი.
ინდიკატორი 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი და წყლის ონკანი. ასევე კარგი იქნება თუ მეტი ყურადღება მიექცევა უსაფრთხოების ზომებს ლაბორატორიაში. **სპორტი:** სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშის ლეიბები, ტანვარჯიშის კედელი, ბაგირი, მცირე ზომის ბურთები), რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)**	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**სპორტი:** სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** მე-11 და მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები წარმოდგენილია განსხვავებულ ჩარჩოში. სასურველია გამოიყენოთ კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩო . .
ინდიკატორი 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**უცხოური ენები** სასურველია, მე-11 და მე-12 კლასის კურიკულუმში რესურსები გაიწეროს უფრო დეტალურად, დაემატოს დამატებითი რესურსები, სადაც არ არის. ასევე, რესურსების გრაფის დასახელება კურიკულუმებში იყოს არა მხოლოდ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის განკუთვნილი რესურსები, არამედ-ზოგადად ''რესურსები'', რომელიც მოიაზრებს თემის დასაფარად საჭირო ყველა რესურსს.
ინდიკატორი 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** დიფერენცირებულ დავალებებს დაურთეთ საგნის გრძელვადიანი მიზნები და შეფასების რუბრიკები.რითაც უფრო მარტივი იქნება შედეგების შეფასება.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**მათემატიკა:** სასურველია დანართ 3 -ში (საშუალო საფეხურის კურიკულუმი) მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ათქულიანი სისტემით შეფასების ოთხი დონის ცხრილში ჩასწორდეს შეფასებების დასახელება დონეების მიხედვით: უნდა ეწეროს საშუალოზე მაღალი და წერია საბაზოზე მაღალი.

ინდიკატორი 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი და იყოს წყლის ონკანი. ასევე კარგი იქნება თუ მეტი ყურადღება მიექცევა უსაფრთხოების ზომებს ლაბორატორიაში. **სპორტი:** სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშის ლეიბები, ტანვარჯიშის კედელი, ბაგირი, მცირე ზომის ბურთები), რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (MES 2 26 0000417692, 07/04/2026) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც - „

შეესაბამება“ (1.2.1.4. ინდიკატორი) ინდიკატორი 3.4.1.1. ინდიკატორი - შესაბამისობის გეგმის მიხედვით შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“. ინდიკატორი - 3.5.1.4 ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა (შემდგომში სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება 01-03/43 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელმაც იმუშავა სკოლის მისია/ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე. სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ოქმით N 1 (05.09.2025 წ.) დასტურდება, რომ სკოლის მისიაა; ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში ხარისხიანი განათლებითა და საზოგადოებრივი მეცნიერებების გაძლიერებული სწავლების მხარდაჭერით კონკურენტუნარიანი, გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეების აღზრდა. მისიის განსახორციელებლად შექმნილი ხედვა შეესაბამება ზოგად მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (2025-2026 წწ).

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის პოტენციური შესაძლებლობების განვითარების საშუალებები. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ

სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები (შიდა დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები და სხვა) აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის მიერ მოზადებული შევსებული კითხვარი, რომელიც ადასტურებს, სკოლის კონცეპტუალური დოკუმენტები შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებასა და მის მიერ შემქნილ დოკუმენტებს შორის არ არის დაცული გონივრული ვადები, სკოლა დოკუმენტურად ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. პროცესში ჩართული იყო მასწავლებლების, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებისა და მშობლების მნიშვნელოვანი ნაწილი. ფაქტობრივი მტკიცებულებაა შეხვედრების ოქმები. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია პედაგოგთა შეხვედრის ოქმი (N2 - 6.09.2023წ), მშობელთა კრების ოქმი (ოქმი N2 - 6.09.2023 წ), პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმები, რომლითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით ასევე დგინდება, რომ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები, პროცედურები. გამომდინარე იქედან, რომ პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები ერთსა და იმავე თარიღით არის წარმოდგენილი, **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ პედსაბჭოს სხდომა და სამეურვეო საბჭოს სხდომები სხვადასხვა თარიღებში ჩანიშნოს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმში არ იყო განსაზღვრული სკოლის მისია ხედვა ღირებულებების საკითხი წარდგენილი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ჩაამატოს აღნიშნული საკითხი სამეურვეო საბჭოს ოქმში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმებით, (მშობელთა კრების ოქმები) შევსებული კითხვარებით დასტურდება, რომ სკოლის კონცეფტუალური დოკუმენტები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ.გვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია: სსიპ- სერგო ჯაიანის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №01–03/42);
2. სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება №01–03/43);
3. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
4. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
5. Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანება - 02.09 2025 წ. №01–03/42) მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები. იგი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. გამომდინარე იქედან, რომ მეთოდოლოგიის შემუშავების ბრძანება და მისია, ხედვა ღირებულებების შექმნის მიზნით გამოცემული სამუშაო ჯგუფის ბრძანება ერთსა და იმავე დღეს არის ბრძანებით დამტიცებული, ხოლო 8 სექტემბრით თარიღდება აღნიშნული ჯგუფის მიერ გამოცემული ოქმი - **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბრძანებებს შორის დაიცვას გონივრული ვადები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება №01–03/42. 02.09.2025 წელი.) სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, (დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ) რომელიც არის შვიდწლიანი (2025 – 2032 წწ). სტრატეგიული გეგმა არის ციკლური. კერძოდ, განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და მიზნის მიღწევის გზებს. ვიზიტის დროს წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში გეგმაში არ იყო განსაზღვრული სტრატეგიული მიზნის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიულ გეგმაში გაწეროს სტრატეგიული მიზნების შესრულების კონკრეტული ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და დამტკიცებულია დირექტორის მ/შ მიერ მიერ 2025 წლის 08 სექტემბრის №01-03/45 ბრძანებით. წარმოდგენილი დოკუმენტი ეფუძნება სკოლის სტრაგეტიულ გეგმას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2025-2026 წწ) მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. ვიზიტის დროს **წარმოდგენილ დოკუმენტში იყო განსაზღვრული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. არ იყო განსაზღვრული აქტივობის განხორციელების კონკრეტული ვადები.**

სკოლამ წარმოადგინა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები; 2026 წლის 07 აპრილის №01-03/31 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 3 და სამეურვეო საბჭოს ოქმი N 7. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ხარვეზი გასწორებულია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
4. ბრძანება N 01-03/31
5. პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N 3
6. სამეურვეო საბჭოს ოქმი N 7

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-10 და მე11 მუხლები, რომლის თანახმადაც სკოლამ სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება უნდა განახორციელოს წელიწადში ერთხელ - ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, სკოლის მზაობა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის, მოახდინოს დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
2. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, რომლიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან ზოგადი განათლების შესახებ. (ბრძანება №01–07/19, 20 03.2025 წელი) ორგანიგრამის მიხედვით, სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: უმაღლესი არჩევითი ორგანო - სამეურვო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექცია, ადმინისტრაცია,

პედაგოგიური საბჭო, კათედრები და დისციპლინური კომიტეტი. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანებით (2025 წლის 11 სექტემბრის №01-03/70) დამტკიცებული თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საშტატო განრიგით გათვალისწინებული ყველა პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის ორგანიგრამის დოკუმენტში - „სკოლის სტრუქტურა“ გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობების, საშტატო განრიგის და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია ლოგიკური შესაბამისობით, არ ხდება ფუნქცია-მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებულია ,,დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები'', რომლითაც თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციებია დადგენილი, დოკუმენტი განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს. სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის, როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა;
2. საშტატო განრიგი;
3. თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
4. დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის: სკოლის წესდების, ეროვნული სასწავლო გეგმის, შინაგანაწესის და სკოლის მიერ შემუშვებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტისა (სკოლის დირექტორის მ/შ: 2025 წლის „08“ სექტემბრის №01–03/46 ბრძანებით) და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას, სამუშაო და დასვენების დროს და შრომის ანაზღაურების პირობებს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, წახალისებას და დისციპლინურ პასუხისმგებლობის სახეებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება ახალი თანამშრომლის-მასწავლებლის აყვანა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. ამავდროულად მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით დასაქმებულის ვალდებულებაა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენისას ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს და ცნობებს ნასამართლობის შესახებ და სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების და გადაცდომის და დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კადრის შერჩევის პროცდურას (ვაკანსიის გამოცხადება, კონკურის მოწყობა) ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს ადმინისტრაციული ერთეულის შერჩევისა და დასაქმების წესი. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას დადგინდა, რომ თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. სკოლაში ვიზიტის დროს ყველა დასაქმებული სრულად ჰქონდა წარმოდგნილი კანონით გათვალისწინებული ცნობები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებულია 30 თანამშრომელი, რომელთაგან 23 მასწავლებელია, ამათგან 21 არის უფროსი სტატუსის მქონე. სკოლაში დასაქმებულია ორი მოწვეული პედაგოგი (უსტატუსო). **უსტატუსო პედაგოგებთან გაფორმებულია ვადიანი ხელშეკრულება შეთანხმების საფუძველზე. მოწვეული მასწავლებლებისათვის საათობრივი დატვირთვა იყო სტატუსის შესაბამისი (არაუმეტეს 9 საათისა.) სკოლამ განმარტა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე მოწვეულ მასწავლებლებთან ხელშეკრულების გაფორმებამდე გამოცხადებული იყო კონკურსი, რომელზეც არავინ გამოცხადდა. ვიზიტის დროს სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია აღნიშნულ პოზიციებზე - N 97693, გამოცხადების თარიღი 2 მარტი, 2026 წელი. ვიზიტის დროს მათემატიკის პედაგოგი ითავსებდა ხელოვნების საგნებს, თუმცა დადგინდა, რომ აღნიშნულ საგანში პედაგოგი არ იყო სერთიფიცირებული. სკოლას კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ხელოვნების პედაგოგის**

პოზიციაზე - ვაკანსია - 97692, 2 მარტი, 2026 წელი. ხელოვნების საათები დირექტორის მ/შ ბრძანებით გადანაწილებული იყო მათემატიკის პედაგოგზე - ბრძანების N 01-03/16, 2 თებერვალი, 2026 წ. სკოლაში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასაქმებულები იყვნენ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი. სკოლას ჰყავს სამი დამლაგებელი, სამი დარაჯი, ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პროცესში სკოლის მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), პედაგოგიური საბჭოს, კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების პროცედურა ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი, პრემირება. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები, რომლებიც ასევე წარმატებით უზიარებენ ერთმანთს გამოცდილებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრის ანგარიშები;
3. მასწავლებლთა სასწავლო ჯგუფების შეხვდრისოქმები;
4. პერსონალის პირადი საქმები;
5. მართვის სინფორმაციო სისტემის მონაცმები;
6. მასწავლებელთა შეცვლა-გაცვლის ჟურნალები;
7. მართვის საინფორმაციო სისტმის მონაცემები;
8. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის/მონიტორინგის პროცესს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებით. სკოლაში პერსონალის შეფასებას ახორციელებს სამუშაოს სტანდარტების ანალიზით. მასწავლებელთა შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რომელსაც ახორცილებს ხარისხის განვითარების ჯგუფი. (ბრძანება N 01-07/103, 2025 წლის 1 დეკემბრი)
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში ხარიხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესში მასწავლებლებზე დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე მასწავლებელთა საჭიროებებს დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვა და წარმართვა. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.

.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვიზიტის დროს ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ არ იყო ამოქმედებული, თუმცა ახალი სქემის ამოქმედებისთანავე მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებულია, რომ კარიერული წინსვლისთვის გამოიყენოს ყველა ის შესაძლებლობა, რომელსაც მათ სახელმწიფო ინსტიტუტები მისცემს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის მ/შ: 2025 წლის „08“ სექტემბრის №01–03/46 ბრძანებით), სადაც მე-18 მუხლით განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია-ადაპტაციისათვის პროცდურები: გაცნობითი შეხვედრა სკოლის დირექციასთან და სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიღება შიდა ნორმებისა და რეგულაციების შესახებ, ახალი თანამშრომლის წარდგენა კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე/ მასწავლებელთა თათბირზე, პედაგოგის დამატება სკოლის თანამშრომელთა დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის მხრიდან თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის ფაქტი დაადასტურეს სკოლის მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. წერილობითი სახით დოკუმენტი, რომლიც დაარეგულირებს პერსონალის ინიციატივების წახალისების პროცესს გარდა შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტისა, რომლებიც განსაზღვრავენ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმებს არ არსებობს. სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშაოს წესი/მექანიზმი, რომელიც დაეხმარება პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებაში .

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
2.სკოლის შინაგანაწესი;
3. პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
4. შეფასება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, (დირექტორის მ./შ. 2025 წლის 11 სექტემბრის N01-03/73 ბრძანება) რომელშიც გაწერილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების, წესების და პროცედურების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესებში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის მშობლების. მნიშვნელოვანია სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. სკოლას მიეცა რჩევა, წარმოდგენილ დოკუმენტში ასახოს მშობელთა ჩართულობის პროცესი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

წერილობითი სახით დოკუმენტი, რომლშიც იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, სკოლას შემუშავებული არ აქვს, თუმცა ზემო აღნიშნული პროცესები წარმოდგენილია სკოლის რეგულაციებში: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, კათედრების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, ლაბორატორიის დებულება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის მ/შ ბრძანებით (2025 წლის 11 სექტემბრის N01-03/69 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტი განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომლითაც დადგენილია, რომ დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი და სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმაც, რაც შეეხება მასწავლებლებს - დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. ამ წესით რეგულირდება განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი, ვადები და გადაწყვეტილებები. განცხადების/საჩივრის განხილვისას სკოლა ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონს. ამავე წესით რეგულირდება ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მიზნით სკოლას ასევე შემუშავებული აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძანება N 01-03/55 , 8 სექტემბერი, 2025 წელი), რომლითაც დაზუსტებულია სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მშობლის/მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების და სკოლაში პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესი, დოკუმენტს თანადართული აქვს განცხადების ფორმები (მოსწავლის, მშობლის, სკოლაში

დასაქმებულის განცხადება სამეურვეო საბჭოს და დირექტორის სახელზე). სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიცემა ბრძანების სახით შეიცავს გასაჩივრების ვადას და ადგილს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას პერსონალთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესი, რაც განაპირობებს შინაგანაწესის გაცნობას. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ (ბრძანება N 01-03/55 , 8 სექტემბერი, 2025 წელი) განსაზღვრულია სასკოლო საზოგადობისათვის სკოლის მარეგულირებელი აქტების და სასკოლო საზოგადოების უფლება-მოვალეობების გაცნობის ფორმები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და მტკიცებულებები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
4. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
5. საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
6. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
7. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
8. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
9. კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
10. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. დაწესებულებისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი, ელექტრონულ ფოსტა: xixadziri@mes.gov.ge სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100005163107920 . თიმსის პლათფორმა და ასვე დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მიერ ჩატარებული პირისპირ შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლა გეგმავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენოს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც განხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების. ანალიზი, რომელიც გამოყენებული იქნება შემდგომი განვითარებისათვის. განსაზღვრულია უკუკავშირის ანალიზზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის უმაღლესი არჩევითი ორგანოა სამეურვო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიცაა სასკოლო საზოგადოება (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) და რომელიც განიხილავს და/ან ითანხმებს და/ან ამტკიცებს სკოლის მმართველობით საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებს. დისციპლინურ გადაცდომებთან მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ასევე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) არის დაკომპლექტებული. მოსწავლეთა თვითმმართველობას - მოსწავლეთა არჩევით ორგანოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში შესაბამისად მოსწავლეების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია, სკოლაში მოქმედი კათედრები და პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მის პასუხისმგებლობის სფროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით. მეორე უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებენ მშობლები სკოლის მიერ ასარჩევად შეთავაზებული საგნებიდან (მტკიცებულებად წარმოდგენილია მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი). ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ყველა მასწავლებელი ჩართულია მართვის კოლეგიალურ ორგანოში (პედაგოგიური საბჭო), სადაც გადაწყვეტილებების მიღებაში ყველა თანაბრად იღებს მონაწილეობას, გამოხატავს საკუთარ აზრს და იზიარებს სხვებისას, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება გააზრებულად და ანალიზის საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულ პირებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. მოსწავლეთა

თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი. დისციპლინური კომიტეტი მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც, თავის მხრივ, ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის. სკოლაში აქტიურად მუშაობს სამეურვეო საბჭო. ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმები;
3. დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
4. სკოლის ფეისბუქ -გვერდი და მესინჯერ-ჯგუფები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც (ბრძანება N 01-05/3, 15 იანვარი 2019 წელი) გადაამზადა მანდატურის სამსახურმა. ამასთან სკოლას ჰყავს დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის და დასაქმებულ პირთა უსაფრთხოებას, სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობა. სკოლის ტერიტორია სრულად შემოსაზღვრულია ღობით და შესაბამისად დაცულია გარეშე პირთაგან. შეზღუდულია ეზოში ავტომობილების გადაადგილება. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სკოლაში ფიზიკურ უსაფრთხოებას მიკუთვნებულ საკითხებს. სკოლას არ ჰყავდა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მნიშნველოვანია, სკოლამ განსაღვროს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებული იქნება განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების ტექნიკური რეგლამენტითა და სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. სკოლას მიეცა რჩევა, ბრძანებით განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა მომზადებული სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხვოვნებთან შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით (მიწერილობა - MES 5 25 0001792969. 16/12/2025) წარმოება მიმდინარეობს.

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა მიწერილობა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის მდრადობის შემოწმებასთან დაკავშირებით (MES 0 26 0000021581, 14/01/2026)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ არის დამონტაჟებული გამწოვი, არ არის დამონტაჟებული გამდინარი წყლის ონკანი.

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; - ბრძანება N01-07/104 , „01“ დეკემბერი 2025 წელი.

სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლამ უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი 2025-2026 წელს. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, მეტწილად შეესაბამება“.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით: სამედიცინო ტახტი, სასწორი, საკაცე, მაცივარი, კარადები, მედიკამენტების კარადა, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“.

.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში უცხო პირთა გადაადგილების აღრიცხვას, რისთვისაც აწარმოებს შესაბამის აღრიცხვის ჟურნალს. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სკოლა აღჭურვილია ვიდეო-სათვალთვალო სისტემით, (16 ვიდეო-სათვალთვალო კამერა, 8 კამერა ეზოს პერომეტრს უყურებს, 8 კამერა შიდა სივრცეს) როგორც შიდა, ასევე გარე პერიმეტზე. ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ბრძნებით განსაზღვრული პირი ვიდეოსათვალთვალო კამერის მონიტორინგზე. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ბრძნებით განსაზღვროს პირი, რომელსაც ექნება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილება.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შეესაბამება“.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დაწესებულებაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხო გარემოს ფორმირების მიზით შემუშავებულია და დამტკიცებულია ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. სკოლა ახორციელებს საჭიროების შემთხვევაში რეფერირებას. სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების განხორციელების პროცედურები-დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია (01-03/50, 8 სექტემბერი, 2025 წელი) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) შიდა ინსტრუქცია განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შეესაბამება“.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლა მოწესრიგებულია, სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელია შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 3 დამლაგებელი. სკოლის დამლაგებლები იცავენ ყოველდღიურად სისუფთავეს სკოლის მთელ ტერიტორიაზე. დამლაგებლები უზრუნველყოფენ სკოლის ეზოს სისუფთავეს, ათავისუფლებს ეზოს ბალახებისა და ნარჩენებისაგან. სკოლის სველი წერტილები მოწესრიგებულია და აღჭურვილია ყველა შესაბამისი ნივთით, რომელთა მომარაგებაზეც ზრუნავს სკოლის დირექცია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შეესაბამება“.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული ,, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები'', (2025 წლის „09“ სექტემბრის N01-03/59 ბრძანება) რომელშიც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. (ბრძანება N 01-06/05, 27 მარტი, 2025 წელი)

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შეესაბამება“.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,, შეესაბამება“.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლის სკოლაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცმს რეკომენდაციებს, ისმენს დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით და შედეგებს ითვალისწინებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გასაუმჯობსებლად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
2. დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულები;
3. დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულება;
4. ექთანთან გაფორმებული ხელშკრულება;
5. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმების დოკუმენტი;
6. შეფასება;
7. საგაგნგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
8. სკოლის წერილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი. (**N 882024765074),** რომლის მიხედვითაც შენობის საერთო ფართი შეადგენს 2908,56 კვ.მ. ამონაწერის მიხედვით სკოლის ბალანსზეა 5 შენობა, რეალურად დაწესებულების ბალანსზეა მხოლოდ ერთი შენობა-ნაგებობა. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დგინდება, რომ რეალურად სკოლის საკუთრებაში არ არის ხუთი შენობა. სხვა შენობა-ნაგებობები დიდი ხნის წინ გადაეცა სხვა დაწესებულებას. (ბაგა-ბაღს) **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ შესაბამისობაში მოიყვანოს საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული შენობების რაოდენობა ფაქტობრივ მოცემულობასთან.

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, ექთნის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ბუღალტერია, მუსიკის კაბინეტი, რესურს-ოთახი. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, კომპიუტერული კლასი, საქმისმწარმოებლის კაბინეტი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილი ოთახი. სკოლის მესამე სართულზე ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და სკოლა არ სარგებლობს მესამე სართულს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. შენობის მესამე სართული არ არის რეაბილიტირებული.

ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 45 მოსწავლე. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები. სკოლის ბალანსზე ირიცხება 153 მერხი და სკამი. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობას 150 მოსწავლეს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატრიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. კომპიუტერები და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასში. სკოლას აქვს გამოყოფილი რესურს-ოთახი, თუმცა კაბინეტში არ არის განთავსებული მატერიალური რესურსი. ოთახი არ არი შესაბამისად აღჭურვილი. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონლით და შესაბამისი ინვენტარით არის

უზრუნველყოფილი. საერთო სარგებლობის სივრცეები გამოიყენება სხვადასხვა სასკოლო ინიციატივების განსახორციელებლად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას გააჩნია მხატვრული და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკის საცავში. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება N01-03/53, 8 სექტემბერი, 2025 წელი) ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ბიბლიოთეკის საქმიანობის ერთწლიანი სამუშაო გეგმა. სკოლას მიეცა რჩევა, ბიბლიოთეკარის მონაწილეობის შექმნას აღნიშნული დოკუმენტი.

ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, აღრიცხულია და განლაგებულია თაროებზე კატალოგის მიხედვით. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები. ვიზიზტის დროს ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში არ იყო განთავსებული ქცევის წესები. სკოლას მიეცა რჩევა, ხელმისაწვდომ ადგილას განათავსოს ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიებში ქცევისა და უსაფრთხოების წესები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობაში მოსახვედრად არის პანდუსი, თუმცა სკოლის შიგნით სართულებზე გადაადგილებისათვის არ არის პანდუსი, ადაპტირებულია სველი წერტილი შშმ პირისთვის. გამომდინარე იქედან, რომ სკოლის მეორე სართულზეა განთავსებული ლაბორატორიები, აღნიშნული მოცემულობის გამო შესაძლოა მომავალში ხელი შეეშალოს შშმ პირთა გადაადგილებას. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025-2027 წელს უნდა მოხდეს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება მითითებულ ვადებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება“

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს შიდა და გარე სპორტული დარბაზები. სკოლის ფოიე და ვრცლი დერეფნები იძლევა შესაძლებლობას, ჩატარდეს სხვადსხვა სასკოლო ღონისძიებები: სასწავლო-შემეცნებითი, სპორტული და სხვა. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი (გასახდელებით) და სივრცე ეზოს ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელია ფიზიკური აქტივობების განხორციელება. შესყიდულია კალათბურთის ფეხბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები, სახტუნაო რგოლები, ლახტი , მხიარული სტარტების აღჭურვილობა, ორი ტენისის მაგიდა. საგნის პლაკატები და თვალსაჩინოებები, რუკები და სხვა. ბიბლიოთეკაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული 7762 ერთეული მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა. ბიბლიოთეკარს მიეცა რჩევა, რომ გააკეთოს სამოქმედო გეგმა, ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი ინტერნეტში ჩართული და ელექტრონული და მატერიალური კატალოგი.

სკოლაში ფუნქციონირებს ცალ-ცალკე ქიმია, ფიზიკა ბიოლოგიის კაბინეტები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. კაბინეტი აღჭურვილია ძველი რესურსით, თუმცა სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი (MES 3 25 0001 747822, 8 დეკემბერი, 2025 წელი), რის საფუძველზეც სკოლა ელოდება ახალ ლაბორატორიას გამწოვითურთ. კაბინეტში დამონტაჟებულია ონკანი/გამდინარე წყალი და განთავსებულია მეორე სართულზე. რესურს ოთახი არის განთავსებული შენობის პირველ სართულზე, თუმცა არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, სამუშაო მასალით. კომპიუტერული კლასში არის 8 ლეპტოპი. ჯამში სკოლას აქვს 15 ლეპტოპი და 2 პერსონალური კომპიუტერი. 12 პროექტორი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია;
2.ინვენტარიზაციის შედეგები;
3.ბიბლიოთეკის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში მოქმედი 16 კომპიუტერია, აქედან 15 ლეპტოპია და 2 პერსონალური კომპიუტერი. კომპიუტერულ კლასში ხელმისაწვდომია 10 ლეპტოპი; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით; პროექტორით, პრინტერ-სკანერის აპარატით, პრინტერით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დაწესებულება უზრუნველყოფს კომპიუტერების და შესაბამის მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. დაწესებულების მიერ მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცეები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. მოსწავლეებისათვის საზიარიო სამუშაო სივრცე სკოლაში მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. იგივე სივრცით სარგებლობენ მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებლებისთვის საზიარო სამუშაო სივრცე არის ასევე სამასწავლებლოში. დავალებების შესასრულებლად კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა დროს. დრო დამოკიდებულია მათ საგაკვეთილო ცხრილზე. მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში

პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით, სამოქალაქო განათლებისა და ისტ-ის მასწავლებელთა თანამშრომლობით იგეგმება სხვადასხვა აქტივობა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა (გაწერილია ციფრული განვითარების პუნქტები);
2. საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტები).

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. ელექტრონული საქმისწარმობისათვი გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow. დოკუმნტაცია მუშავდება და ტარდება eflow სისტემაში. შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას ენიჭება დოკუმენტის ნომერი ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი

წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში. **სკოლას მიეცა რჩევა**, თვითშეფასების საფუძველზე შექმნას და დირექტორის ბრძნებით დაამტკიცოს - ციფრული განვითარების ერთწლიანი გეგმა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტისას გადამოწმებული იქნა სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტმაში და ის სრულყოფილია. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას გამოყოფილი ჰყას უფლებამოსილი პირი ბაზებთან სამუშაოდ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს აღნიშნულ უწყბებთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;
2. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
3. შემოსული და გასული კორესპონდენციები;
4. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული პროფილი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადობის ინფორმირებას და კომუნკაციას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის: სკოლის ვებგვერდით , სკოლის სოციალური ქსელით, ელექტრონული ფოსტით khikhadziri@mes.gov.ge ელექტრონული ჟურნალთ, დახურული ჯგუფებით სოციალურ ქსელში, პირისპირ შეხვედრებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობისა და განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება მშობელთა კრებების, სკოლის სოციალურ გვერდის, ვებ-გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული ჟურნალის დახმარებით. სკოლის სოციალური ქსელს აქვს შეტყობინების ფუნქცია. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირი (ბრძანება N01-03/74, 11 სექტემბერი, 2025 წელი), რომლის ვალდებულებაა ინფორმაციის დროულად განთავსება ვბგვერდზე, სკოლის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურება. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამოიყენება ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მისაღებად. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდოა და შესაძლებელია მისი გადამოწმება. **სკოლას მიეცა რჩევა** შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომელიც სკოლის ყველა თანამშრომელს ავალდებულებს აწარმოოს კომუნიკაცია სკოლის შიგნით და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის სოციალური ქსელის გვერდი ითვალისწინებს სანდო და უტყუარი ინფორმაციის დროულად გაზიარებას და ასრულებს ორ ფუნქციას: ა)საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას, ბ)საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. სკოლა საზოგადობასთან კომუნიკაციის. პროცესში ასევე წარმატებით იყენებს ელექტრონულ ფოსტას და პირისპირ შეხვედრებს. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნკაციის წესშია განმარტებული სკოლას გაცნობიერებული აქვს კონსტრუქციული უკუკავშირის დადებითი ეფექტი, გეგმავს განახორციელოს სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი და გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის. ხშირად დასმული შეკითხვების პასუხები აკუმულირდება ფეისბუქ გვერდზე. პასუხების ანალიზი დავალებული აქვს საინფორმაციო მენეჯერს საკითხთან დაკავშირებული მასწავლებლების ჩართულობით. ამრიგად სკოლას აქვს მზაობა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად .

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდის შესაბამისი გვერდი https://skolebi.emis.ge/-ზე, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვა საჯარო დოკუმენტაცია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი;
2. მართვის საინფორმაციო სისტემის პროფილი;
3. სკოლის ელექტრონული ფოსტა;
4. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სკოლა შეიმუშავებს, როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს გასული წლების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზით. განიხილავს მოსალოდნელ რისკებს, გარე ფაქტორებს. ახდენს თვიურ ფინანსურ ანგარიშგებას. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ძირითადად ხელფასების დაფარვაზეა ორიენტირებული, სკოლის ფინანსურ მდგრადობას ხელს უწყობს ვაუჩერული დაფინანსება.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგის სისტემა, რომელიც ამოწმებს შემოსულ თანხებსა და დანახარჯებს. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კანონმდებლობის დაცვით, წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს და მაკონტროლებელ ორგანოს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტი;
2. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
3. დაფინანსების ანალიზის შედეგები;
4. სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები;
5. შეფასება:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში რეგულირდება შინაგანაწესით, წესდებით, სკოლის მირ შემუშავებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგნლს უფლებებით, სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესით, (ბრძანება N01-03/49, 8 სექტემბერი, 2025 წელი) მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით (ბრძანება N01-07/105, 01 დეკემბერი 2025 წელი), ინკლუზიური განათლების პროგრამითა და დებულებით (ბრძანება N2-300, 26 ექტემბრი, 2023 წელი), სასკოლო სასწავლო გეგმით, პერსონალურ მონაცმთა დაცვისა და მონიტორინგის წესით, რეფერირების პროცედურით და სხვა სკოლის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესში გამოყენებული მარეგულირებელი აქტებით და წესებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით უზრუნვლყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში, დაზუსტებულია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები წახალისებისა და სახდელის გამოყენების პირობები, მოსწავლეთა მხრიდან საკუთარი უფლებების დაცვის რეგულაციები. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შესწავლილი იქნა მოსწავლეთა პირადი საქმეები და დადასტურდა, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მშობლის მიერ სკოლის შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების ფაქტს, ასევე კლასის დამრიგებლი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებსა და /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწლებს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტს. ზემოთაღწერილი დოკუმენტები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე რაც ადასტურებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობასა და გაზიარებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება“

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და პროცედურა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

1. სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
2. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. წესდება;
5. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
6. მოსწავლეთა პირადი საქმეები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. დამრიგებლის დებულება;
3. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
4. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. ვიზიტის დროს საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი არ ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმაში. **სკოლას მიეცა რჩევა,** აღნიშნული კომპომნენტი გაითვალისწინოს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დროს. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ .

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მირ წარმოებული დოკუმენტაციით, მართვის საინფორმაციო ბაზის და მოსწავლეთ პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ დაცულია კანონმდებლობასთან თავსებადი შიდა რეგულაციებით დადგენილი ნორმები მოსწავლის ჩარიცხვასთნ, საფეხურის დაძლევასთან მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ .

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას ვიზიტის პერიოდში მსგავსი ტიპის მომსახურება დადგენილი არ ჰქონდა, შესაბამისად **აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - საქმისმწარმოებელი და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი -(ბრძანება N 01-03/74, 11 სექტემბერი, 2025 წელი). შესაბამისად სკოლის ვებგვერდზე განთავსებული და სკოლის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაცია არის სანდო, კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ .

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
2. სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი;
3. მშობლეთან დადებული ხელშეკრულებები;
4. საერთო ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება (N01-03/49, 2025 წლის 8 სექტემბრი) მოსწავლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტით სკოლა არეგულირებს პირველკლასელთა, სსსმ და მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას დროულად გამოავლინოს მოსწავლეთა საჭიროებები და იმოქმედო მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას მოსწავლის ადაპტაციის წესით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერა სასკოლო გარემოში წარმატებული ადაპტაციისათვის. მოსწავლეების მხარდაჭერა ევალებათ ძირითადად კლასის დამრიგებლებს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაცით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. სასკოლო სასწავლო გეგმით შედეგებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა გეგმავს დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა მოსწავლეებს აწვდის დაუყოვნებლივ ინფორმაციას ექსტერნატის, ნიშნის ამაღლების, საშემოდგომო გამოცდის შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის მომსახურებას. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწილებს, სადაც განსაზღვრულია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, 30% გაცდენებისა, შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, ექსტრნატის გამოცდების ჩატარების პირობები, სასკოლო საზოგადოებისთვის დამრიგებლების მეშვეობით ასევე ხელმისაწვდომია სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა შესახებ.
ვიზიტის პერიოდში სკოლაში ფუნქციონირებდა გეოგრაფიის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების კლუბი - „აქტიური მოქალაქე“. სკოლამ წარმოადგინა კლუბის წესდება და სამოქმედო გეგმა. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. აღნიშნული აქტივობების/პროექტების ინიციატორები არიან როგორც მოსწავლეები და მოსწავლეთა თვითმმართველობა, ასევე მასწავლებლები და კათედრები. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინიციატივებს. პროექტების განსახორციელებლად. პროექტების განხორციელების პროცესში გამოიყენება სკოლის მატერიალური რესურსი.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი, რომელსაც ისინი ღებულობენ როგორც ზეპირად, პირისპირ შეხვედრების დროს, ასევე სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში ან სკოლის სოციალური ქსელის შეტყობინების ფუნქციით ან/და გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დატოვებული კომენტარის სახით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სადამრიგებლო დებულება და საქმიანობა;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. არაფორმალური აქტივოების ამსახველი დოკუმენტაცია;
4. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
5. ტრანზიციის დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სასკოლო სასწავლო გეგმით დაწესებულებას განსაზღვრული არა აქვს პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამები. სკოლის მოსწავლეებთან, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული მომსახურების პრაქტიკა სკოლას არ გააჩნია და მხოლოდ სადამრიგებლო საათებს იყენებენ ამ მიმართულებით. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ სკოლას არა აქვს პროფესიულ სასწავლებლებთან საქმიანი ურთიერთობის პრაქტიკა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აუხლოეს ტერიტორიულ ერთეულში არსებულ კოლეჯებთან დადონ მემორანდუმები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“ .

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექცია, დამრიგებლები პერიოდულად აწვდიან სკოლის მოსწავლეებს სანდო და განახლებულ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პროფესიულ კოლეჯის პროფესიულ და უმაღლესი სასწავლებელების პროგრამებზე, ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ. თუმცა ვიზიტის დროს გასაუბრებებით დადგინდა, რომ

სკოლა ვერ აორგანიზებს პროფსიული სასწავლებლის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ადმინისტრაციასტან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება, რითაც სასწავლო პროცესის გაუმჯობესება მიმდინარეობს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
2. დამრიგებლის ანგარიშებითა და პორტფოლიოებით;
3. სადამრიგებლო დებულება, საქმიანობა;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმთ განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძებები. კერძოდ, განმარტებულია ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე, როგორ უნდა მოხდეს: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ისგ ჯგუფის ფორმირება და საქმიანობის განხორციელება, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები. განსაზღვრულია სკოლის ის ვალდებულებები, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის უსაფრთხოებასა და დაცულობას სასკოლო გარემოში. რაც შეეხება ინდივიდუალური გეგმის განხორციელების გეგმას, ის სკოლას ადმინისტრაციულ სამართლბრივი აქტით აქვს დამტკიცებული,

განსაზღვრულია მონიტორინგის ჯგუფი.სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა გამოთქვამს მზაობას ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სკოლაში შეიქმნას ისგ-ს ჯგუფი და სსსმ სტატუსის მქონე მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა. აღნიშნულ საკითხზე მზაობას სკოლა აფიქსირებს სასკოლო სასწავლო გეგმაში.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში გამოყოფილია რესურს-ოთახი, თუმცა იგი არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. სკოლას ავტორიზაციის ვიზიტის დროს არ ჰყავდა სსსმ ან შშმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში ბრძანებით შექმნას ისგ-ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ-გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლა აფიქსირებს მზაობას, სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის სპროცესში უზრუნცელყოს საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სასკოლო სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლას ამჟამად არ აქვს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება, გარდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისა. (დირექტორის ბრძანება №01–03/66, 11“ სექტემბერი 2025) სკოლის მოსწავლეებს ყოველდღიურად ემსახურება ტრანსპორტი, რაც მათ სკოლაში მოყვანას და გაკვეთილების შემდგომ სკოლიდან წაყვანას გულისხმობს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ტაბელები.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1. სკოლის მოსწავლეთათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; კურიკულუმის განვითარების ეტაპებსა და პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი. დოკუმენტი გაზიარებულია კათედრების სხდომებზე. კათედრების მიერ მხარდაჭერილი დოკუმენტი წარდგენილია პედაგოგიური საბჭოსთვის. საგნობრივ კათედრებთან შეხვედრებისა და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სკოლის მზაობა, რომ სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს დოკუმენტის რევიზიას სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეებისა და მშობლების აქტიური ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. სკოლის დირექციის მიერ გათვალისწინებელი იქნება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვა, გამოცდილება და უკუკავშირები, სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები, შეხვედრები მშობლებთან როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი ფორმით. სასწავლო წლის განმავლობაში კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ინტერესები, აქტუალური საკითხები გათვალისწინებული იქნება და მოერგება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები შემუშავებულია კათედრის წევრების სრული ჩართულობით. მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, ინტერესები, სკოლის კონკრეტული საჭიროებები. კურიკულუმის შექმნის დროს, აგრეთვე, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. სასწავლო კურიკულუმის შექმნისას მასწავლებლებმა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, საფეხურების მიხედვით შეადგინეს კურიკულუმი სასწავლო საკითხების, თემების და შემოქმედებითი პროდუქტის დავალებების ცნებების მიხედვით. კურიკულუმის მიღწევის დონის დიაგნოსტირებისათვის პედაგოგების მხრიდან ხდება განხორციელებული აქტივობებისა და მუშაობის პროცესის გაანალიზება და ამ შედეგების ანალიზის გათვალისწინებით დაიგეგმება ამ საგნის მომავალი წლის კურიკულუმი. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გაგება-კვლევისათვის პედაგოგებმა სასწავლო

წლის დასაწყისში ჩაატარეს მშობელთა კრებები და ზეპირი გამოკითხვის გზით გაიზიარეს მშობელთა მოსაზრებები ბავშვების ინტერესების შესახებ. შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციების, მშობელთა აზრის გათვალისწინებით კათედრებმა შეიმუშავეს საგნის კურიკულუმები. სამომავლოდ დაგეგმილია ინფორმაციის შეგროვებისათვის დაინერგოს ელექტრონული ფორმით გამოკითხვა. აღნიშნული მეთოდი დაეხმარება პედაგოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეიტყოს მოსწავლეთა, მშობელთა და კოლეგათა ინტერესები, საჭიროებები. შესაბამისად, გამარტივდება მონაცემების გაანალიზება და მათი გამოყენება სასწავლო კურიკულიმის შემუშავებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კათედრების ხელმძღვანელები კათედრების სხდომებზე განიხილავენ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილ პრობლემებს, აგროვებენ კათედრების წევრების მიერ გამოგზავნილ მასალებს, თანამშრომლობენ სკოლის დირექციასთან და მონაწილეობას იღებენ სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის კათედრები და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო აქტივობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირის საჯარო სკოლაში მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობა, სიახლეების გაცნობა და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა კლასისა და საერთო კრებებზე. სკოლას შექმნილი აქვს სოციალური ქსელი, სადაც ზიარდება სკოლაში ჩატარებული აქტივობები. სკოლამ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, ერთ-ერთ აქტივობად დაგეგმა სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმის გაცნობა მშობლებისთვის. სკოლაში არსებობს, სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის ზეპირი/სიტყვიერი ფორმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრების სხდომების ოქმები.
- მშობელთა კრებების ოქმები.
- სასწავლო სასკოლო გეგმა
- დაწყებითი საფეხერის კურიკულუმი
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავადასტურო, რომ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. კურკულუმის ფარგლებში კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს და შემოქმედებით დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შექმნილია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის შესაბამისად ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება.გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების როლი შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგის და რევიზიის პროცესში. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმში ჩანს პედაგოგების კოორდინირებული მუშაობა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასაგეგმად. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმები. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, ასევე კურიკულუმის დანერგვის წინა წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. მასწავლებლები გეგმავენ პროექტებს სხვადასხვა საფეხურზე: საშუალო საფეხურზე „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“- ”საქართველოს დაცული ტერიტორიები-ბუნების დაცვა. მიმდინარე პროექტი საგან გეოგრაფიაში. მკაფიოდ ჩანს მოსწავლეზე ორიენტრებული სასწავლო პროცესი. გამოკვეთილია საგნობრივი სამიზნე

	ცნებები და ქვეცნებები.აქტივობები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების, გამჭოლო კოპეტენციების და საგნობრივი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას. გეგმავენ და ახორციელებენ საინტერესო აქტივობებს. საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის აქტივობა თემაზე „ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ -სექტემბრის თვეში, „დისკრიმინაციის წინააღმდეგ“-ოქტომბრის თვეში, „ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ“ - ნოემბრის თვეში, „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით“-ხულოს მუნიციპალურ კონფერენციებზე მოსწავლეთა მონაწილეობა: გენდერული თანასწორობა, მდგრად განვითარების კონცეფცია. მტკიცებულად წარმოდგენილია მოსწავლის საკონფერენციო ნაშრომები. არაფორმალური განათლების მიმართულებით სამოქალაქო განათლების კლუბის წევრების ბიზნეს ფორუმში მონაწილეობა. წარდგენილი პროექტი გამჭოლო კომპეტენციების გაძლიერებაზე. მტკიცებულებად წარმოდგენილია პროექტის გეგმა. **რჩევა:** მე-11 და მე-12 კლასის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმები წარმოდგენილია განსხვავებულ ჩარჩოში. სასურველია გამოიყენოთ კათედრაზე დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩო **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებები ორივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სახვით ხელოვნებაში უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას, წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მოთხოვნებს და ხარვეზები არ იკვეთება. მუსიკაში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მოთხოვნებს და ხარვეზები არ იკვეთება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებელები სასწავლო პროცსის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ იმ ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას და უზრუნველყოფს მასზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ: გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები,

	საკითხები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზების, თვითკონტროლისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. კურიკულუმები წარმოადგენენ სტრუქტურირებულ დოკუმენტებსს და მოიცავენ აუცილებელ კომპონენტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.**
ტექნოლოგიები	დაწყებითი საფეხურის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებისთვის სკოლამ შეიმუშავა კურიკულუმის ჩარჩოები. საწყის ეტაპზე წარმოდგენილ ვერსიებში მხოლოდ სამიზნე ცნებები იყო გამოკვეთილი და საგნობრივი სტანდარტის მიმართულებები არ ჩანდა. მოგვიანებით, ინტერვიუს შემდეგ განახლებულ ჩარჩოებში მიმართულებები დაემატა, თუმცა ისინი თემის გრაფაშია ინტეგრირებული. სასურველია, რომ მიმართულებები ცალკე სვეტად იყოს წარმოდგენილი, რაც სტრუქტურას უფრო მკაფიოს გახდის. აღსანიშნავია, რომ ყველა კლასში ყველა სამიზნე ცნება სრულად არ არის მოცული. აღნიშნულ საკითხზე ინტერვიუს დროს მიღებული განმარტებით, ეს ტექნიკური ხარვეზით აიხსნა და დაპირებული იყო სრულყოფა, თუმცა შემდგომში გადმოგზავნილ კურიკულუმებში ცვლილებები არ აისახა. სასკოლო კურიკულუმი მთლიანობაში ასახავს დავალებების იდეებსა და შესაბამის კონტექსტურ მაგალითებს ყველა კლასისთვის. ასევე ჩანს, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სამინისტროს მიერ რეკომენდებულ ინტერაქტიულ და ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს (მაგ., school.emis.ge). შემოქმედებითი დავალებები მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და ყოველდღიურ გამოცდილებასთან. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან გრძელვადიან მიზნებზე და შედეგების განსაზღვრას საფეხურის დონეზე გეგმავენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩო იწყებოდეს საგნის მიმართულებით, შემდეგ ცნება/ქვეცნება, რასაც უნდა მოსდევდეს საკითხები. ასევე, რადგან სტანდარტით მიერ შემოთავაზებული ყველა ცნება, მათივე მიერ განიხილება შესაბამის კლასებში, მოხდეს კურიკულუმებშიც მათი ჩამატება

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, კურიკულუმებში გაწერილია თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია შუალედური მიზნები შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტმაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურებები. თუმცა, ბუნებისმეტყველები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეციერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმებში, სამივე საფეხურზე, ჩანს კავშირი სტანდარტთან და სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. კურუკულუმებში ასახულია ძრითადი თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით და სამიზნე ცნებები. **რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა კურკულულუმის შედგენისას ითანამშრომლონ საბუნებისმეტყველო მეცნერებების კათედრასთან და გაითვალისწინონ მათი გამოცდილება საგნობრივი სტანდარტით გასაზღვურლი ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას. სამიზნე ცნებები და ძირითადი თემები ჩაიწეროს ისე

	როგორც საბაზო და საშუალო საფხურზე არის წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე პედაგოგები საფეხურების მიხედვით შეიმუშავებენ საგნობრივი კურიკულუმებს. კურიკულუმებში ნათლად ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები: საგნობრივი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, შედეგების ინდიკატორები. დაკონკრეტებულია სასწავლო თემები და საკითხები. ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში საკითხები კარგად არის დაკლასტერებული, კონტექსტ მაგალითები და დამატებითი რესურესების ჩამონათვალი შემოქმედებითი დავალების საკითხის შესაბამისია. შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების შეფასებას. პედაგოგებს აქვთ წარმდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების რუბრიკები, სადაც პედაგოგი, კოლეგა და დირექციის წარმომადგენელი აკეთებს შეფასებას. მოქალაქეობის პროექტულ სწავლებაში და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი პროექტები ითვალისიწინებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ციფრული მოქალაქეობის და სამართლებრივი ცნობიერების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ორივე უცხო ენის კურიკულუმების ჩარჩოში მოცემულია თემების დასახელება, სამიზნე ცნებები და შემოქმედებით ხასიათის დავალებები შუალედური მიზნის სახით, გასავლელი საკითხები, ძირითადი და დამხმარე რესურსები. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებით შესაძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების მიღწევა, თუმცა მათ ნაწილში ვხვდებით გარკვეული ტიპის შეუსაბამობებს. კერძოდ, რუსული ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არასწორადაა წარმოდგენილი სამიზნე ცნების ქვესაკითხები. მაგალითად, რუსული ენის 5 კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნება, ''სამეტყველო ქმედების'' ქვესაკითხებად მოცემულია ენობრივი საშუალებების ქვესაკითხები, კერძოდ, ლექსიკური ერთეულიები, ხოლო სამიზნე ცნება ''ტექსტის'' ქვესაკითხები (ინტონაცია, მახვილი, პაუზა) წარმოდგენილია როგორც სამიზნე ცნება ''ენობრივი საშუალების'' ქვესაკითხებად. რუსული ენის კურიკულუმების ნაწილში არაა წარმოდგენილი ყველა თემის გასავლელი ძირითადი საკითხები. ორივე უცხოური ენის კურიკულუმების ნაწილში შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების პირობები არის მოკლე ან/და ბუნდოვანი და ჭირს გაგება, თუ რისი

	გაკეთება ევალება მოსწავლეს, რამდენად უზრონველყოფს იგი იმ კონკრეტული თავის შეჯამებას და თანხვედრაშია თუ არა თემის ფარგლებში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებთან/საკითხებთან. მაგალითად, რუსული ენის 6 კლასის კურიკულუმის მეორე თემის კომპლექსური დავალების პირობის პირველი ნაწილი სთხოვს დიალოგის გათამაშებას გაცნობის მიზნით, ხოლო მეორე ნაწილი წერილის მიწერას ზაფხულის არდადეგზე. ორივე უცხოური ენის კურიკულუმის ნაწილში არაა წარმოდგენილი კონტექსტ მაგალითები თითოეულ თემასთან მიმართებით. ასევე, რიგ შემთხვევებში, არაა დაკონკრეტებული სამიზნე ცნებებიდან კონკრეტულად რომელი ქვეცნების რა საკითხი/საკითხები იფარება ამა თუ იმ თემით. გარდა ამისა, კურიკულუმების ნაწილში არაა მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. უცხოური ენის კურიკულუმების ფორმატი გასწორებულია და აქვს ერთიანი ფორმატი. ორივე უცხო ენის კურიკულუმების ნაწილში ზოგიერთი კომპონენტები წარმოდგენილია ქართულ ენაზე, ნაწილი ინგლისურად/რუსულად. ზოგიერთ კურიკულუმში თემა და თემის შეჯამაჯამებელი კომპლექსური დავალება არ ემთხვევა ერთმანეთს შინაარსობრივად. მაგალითად, ინგლისური ენის 1 კლასის კურიკულუმის მე-8 თემა არის ''My body'' (ჩემი სხეული), კომპლექსური დავალება კი მოიაზრებს ოჯახის დახატვას და ნამუშევრის ზეპირად წარმოადგინას. არც ლექსიკურ ერთეულებშია მითითებული სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები. რუსული ენის კურიკულუმების ნაწილში არაა მოცემული თითოეული თემის ფარგლებში გასავლელი საკითხების ჩამონათვალი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი** **რეკომენდაცია** გადაიხედოს ორივე უცხოური ენის კურიკულუმები და სწორად იყოს წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და მათი ქვესაკითხები; თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს არა ზოგადად (ტექსტი, ჟანრი, კულტურათა დიალოგი, ენობრივი საშუალებები, სამეტყველო ქმედება და ა.შ.), არამედ კონკრეტულად. მაგალითად, მოცემული იყოს არა ზოგადად ტექსტი, არამედ ტექსტი: კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები (კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები, მიმღები (ადრესატი), გამგზავნი (ადრესანტი), აუდიტორია და მათი ვინაობა. სამეტყველო ქმედება : სოციალურ რიტუალებში (მისალმება, დამშვიდობება), ინფორმაციის მოსაპოვებლად (სახელი, ასაკი, ინტერესები), ქმედებებისა და საქმიანობების შესახებ (ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა) და ა.შ. სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და მათი

	სსაკითხები დაკონკრეტდეს იმის და მიხედვით თუ რომელი მათგანი იფარება ამა თუ იმ თემის ფარგლებში. შუალედური მიზნის მისაღწევი დავალებების იდეა/პირობა მოცემული იყოს დეტალურად და გასაგებად, შეესაბამებოდეს თემის ფარგლებში წარმოდგენილ საკითხებს, სამიზნე ცნებებს/ქვეცნებებსა და მათ ქვესაკითხებს, შევსებული იყოს თითოეული კომპონენტის გრაფა ყველა თემასთან მიმართებით. სასურველია დავალების იდეა/პირობა მიმერთებოდეს მოსწავლეს და წარმოდგენილი იყოს მეორე პირში. ასევე, თუკი კურიკულუმებში დარჩება კონტექსტ მაგალითის კომპონენტი, აღნიშნულ გრაფაში მითითებული იყოს არა ''სახელმძღვანელო'', არამედ შესასრულებელი დავალების ნიმუში (იქნება ეს კონკრეტული გვერდის მითითებით სახელმძღვანელოდან, ლინკის სახით თუ უკვე შესრულებული დავალება ფოტოს სახით) ან მოკლედ იყოს წარმოდგენილი ის კონტექსტი (აქტივობები), რომლითაც გამოჩნდება თუ როგორ ხდება მოსწავლეების მომზადება შუალედური მიზნის მისაღწევი დავალების შესრულებამდე. ყველა კურიკულუმში იყოს მითითებული ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები. კურიკულუმები წარმოდგენილი იყოს ქართულ ენაზე და ენები არ იყოს არეული.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტებსა და მიზნებს. თემატური მიმართულებები და სასწავლო აქტივობები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი, ანალიზისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. განსაკუთრებით მუსიკაში წარმოდგენილი კურიკულუმები თანმიმდევრულად ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებსა და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზნობრივ დაგეგმვას. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში ასევე იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ მიმართული თემატური მიმართულებები, სრულად ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** მიზანშეწონილია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის გადამუშავება ისე, რომ თითოეულ თემაში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული საკითხი, სამიზნე

	ცნებები და ქვეცნებები, ასევე შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები იყოს კონკრეტულად დაკავშირებული თემაში შესწავლილ საკითხებთან. სასურველია თემების რაოდენობა უნდა ფარავდეს სასწავლო წლის სრულ პერიოდს და კურიკულუმში გამოყენებული რესურსები შეესაბამებოდეს სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმი უფრო მკაფიოდ უნდა ასახავდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის გზას.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვუითი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო მიზნები და აკმაყოფილებს ესგ-ს მოთხოვნებს. კურიკულუმი აგებულია ისე, რომ ემსახურება მოსწავლეებში ფუნქციურ კომპეტენტური უნარების განვითარებას.კურიკულუმში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, თემები და შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. **რჩევა:** ა) I კლასის კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების ბარათში დასაკორექტირებელია სამიზნე ცნებები.

	ბ) II და III კლასის კურიკულუმებში არის ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, საკითხების გრაფაში წერის კონტექსტ მაგალითები და, პირიქით, კონტექსტ მაგალითის გრაფაში წერია საკითხები. გ) IV კლასის კურიკულუმში თემა „ დრო“ შემოქმედებითი დავალების გრაფაში მითითებული დავალება „მოგზაურობა საქართველოში’ არის შემდეგი თემის „ მოქმედებები რიცხვებზე“. დ) V კლასის კურიკულუმში დასაზუსტებელია თემების დასახელებები სტანდარტიდან. ე) კურიკულუმებში (სამივე საფეხურზე) სასურველია სავარაუდო საათობრივი განაწილება და წლიური საათობრივი დატვირთვა მოვიდეს შესაბამისობაში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულემები სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის სტანდარტთან. დოკუმტაცია მკაფიოდ ჩანს კავშირი თემებს, საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის. კურიკულუმები დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კურიკულუმის ჩარჩოები (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასებისთვის) ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე. აღნიშნული მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებებსა და მათთან დაკავშირებულ საკითხებში. შემოქმედებითი ტიპის დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ალგორითმული, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას და აძლიერებს ციფრული მოქალაქეობის კომპეტენციებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ დავალებით, გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის ამგვარად წარმართვის. კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი მიზნები - ცნებები, ქართულში I კლასში შეტანილი იყო ცნება „გრამატიკა (პრაქტიკული)“ რაც მეორე კლასიდან მუშავდება, ასევე წინასაანბანო პერიოდში არ მუშავდებოდა ცნება „წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა“, თუმცა კათედრამ დამატებით დოკუმენტაციაში წარმოაგდინა გასწორებული ვერსიები. ბუნებისმეტყველებაში (IV კლასში) თემის ფარგლებში ყველა ცნება არ მუშავდება და **კათედრას მიეცა რჩევა დამუშავდეს ყველა ცნება.** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად ასახული აქვთ შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლის ბარათებიც საგანში თითო-თითო აქვთ წარმოდგენილი ნიმუშის სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურუკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. რესურსები წარმოდგენილია სამივე საფეხუსრზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია: მატერიალური რესურსების გამოყენების წესი, რესურსების ჩამონათვალი, სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმში გამოკვეთილია რესურსების ვალიდაციის კრიტერიუმები; თანდართული აქვს რესურსების ჩამონათვალი, სამივე საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმებში მითითებულია

	გრიფირებული სახელმძღვანელოები,საკითხის და სასწავლო თემების შესაბამისი ჰიპერლინკები, რუკები, დოკუმენტური ფილმები,ტელე სკოლის გაკვეთილები. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ პედაგოგები იყენენ მრავალფეროვან რესურსებს, რითაც უადვილდებათ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრას ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთად, წარმოდგენილი აქვთ დამატებითი რესურსები ვიდეოებისა თუ სამუშაო ფურცლების სახით, რათა სრულყოფილად გავიდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე და მოსწავლეებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმში წარმოდგენილია ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსები, რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისკენ.თუმცა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში VIII კლასის შემთხვევაში კურიკულუმი შედგენილია გამომცემლობა „კლიოს“ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, მაშინ როდესაც სკოლას არჩეული აქვს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სახელმძღვანელო.იხ. ხარვეზი 2.1.2.1 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული საგანმანათლობლო რესურსებიდან მთავარი არის გრიფირებული სახელმძღვანელოები, მაგრამ გარდა ამისა, მითითებულია ელექტრონული რესურსებიც, ვიდეო თუ აუდიო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. ასევე, კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებს. მათ შორისაა school.emis.ge პლატფორმა, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ვიდეომასალებზე და კონტექსტურ მაგალითებზე მიმანიშნებელი ბმულები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და მითითებულია გვერდები. ასევე ზოგიერთ საგანში მითითებული აქვთ ელექტრონული ბმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინეტერესებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა დაგეგმვისას. გათვალიწინებული დიფერენცირებული მიდგომები. ამას ადასტურებს კათედრის მიერ წარდმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოკვეთილია ინკლუზიური განათლება. სკოლას წარმოდგენილი აქვს დიფერენცირებული სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გაკვეთილის გეგმა , დიფერენცირებული სწავლების აქტივობები. საგან მოქალაქეობასა და გეოგრაფიაში მოდიფიცირებული დავალებები, შეფასების რუბრიკით. პედაგოგებმა გასაუბრების დროს გაგვიზიარეს დიფერენცირებული სწავლების ხერხები. შემოქმედებითი დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა შემოქმედებითი პროდუქტის არჩევის და დავალების სხვადასხვა ფორმატით წარდგენის. ასევე პედაგოგები ითვალისიწინებენ მოსწავლეების უნარებს და სწავლის სტილს. მე-7 კლასში საგან მოქალაქეობაში გაკვეთილის გეგმაში მკაფიოდ ჩანს საგნის გრძელვადიანი მიზნები. სხვადასხვა კლასის დიფერენცირებული სწავლებისთვის აქტივობების განხორციელების პროცესში სასურველია იყოს გამოკვეთილი საგნის გრძელვადიანი მიზნები (ცნებები,ქვეცნებები, შედეგების ინდიკატორები) და წინასწარ გქონდეთ შემუშავებული შეფასების რუბრიკა. **რჩევა:** სასურველია, დიფერენცირებულ დავალებებს დაერთოს საგნის გრძელვადიანი მიზნები და შეფასების რუბრიკები. რითაც უფრო მარტივი იქნება შედეგების შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კურიკულუმებში წარმოდგენილი შემოქმედებითი ტიპის დავალებები მათ აძლევს საშუალებას საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე შექმნანან ესა თუ ის პოსტერი, გააფორმონ იგი მათთვის მისაღები ფორმით და ა.შ. გარდა ამისა,

	პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ დიფერენცირებულ მიდგომას იყენებენ საგაკვეთილო პროცესშიც და დავალებებს აძლევენ მათი შესაძლებლობების მიხედვით, ან ახალი ინფორმაციის მიწოდების დროს ითვალისწინებენ მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას და სასწავლ მასალას აწვდიან შესაბამისად. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრინციპები. სკოლა აცნობიერებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მნიშვნელობას და აღნიშნული მიდგომები აღწერილია ზოგად მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში. თუმცა წარმოდგენილ კურიკულუმებში აღნიშნული მიდგომების გამოყენება მკაფიოდ არ არის ასახული და ნაკლებად ჩანს, როგორ აისახება ისინი თემების, აქტივობებისა და დავალებების დაგეგმვაში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ სათანადო მზაობა ასეთი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის ჩანს რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები.სკოლის მიერ წარმოდგენილ შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები და საჭიროების შემთხვევაში ხდება როგორც დავალებების ისე სასწავლო პროცესის ცვლილება . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებლები არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას, სთავაზობენ მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს (მაგ., განსხვავებული

	სიმძიმის ბურთით ტექნიკური ილეთების შესრულება, განსხავებული ტემპით დავალების შესრულება და სხვ.). ამ ეტაპზე სკოლაში არ სწავლობენ ბავშვები, რომლებსაც ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგანში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ამჟამად სსსმ მოსწავლე არ ირიცხება, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოხატეს მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ ინკლუზიური გარემოს შექმნას. ინტერვიუს შემდგომ სკოლამ წარმოადგინა დიფერენცირებული დავალება, რაც ადასტურებს მასწავლებლების მზაობას და წინარე გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე ინკლუზიურია და ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებას ჩანს კურიკულუმებში, სადაც დავალებები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, თუმცა გასაუბრებით როგორც გამოჩნდა დაწყებით საფეხურზე არ ერიცხებათ სსსმ მოსწავლე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) სამივე საფეხურზე, რაც ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი.სადაც დაზუსტებულია მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები, პროცედურები.კათედრის ოქმში შემუშავებული აქვთ შეფასების კომპონენტები, კურიკულუმის განხორციელების შეფასების, ყველა საგანში და სამივე საფეხურზე აქვთ სასწავლო თემებთან მიმართებით პედაგოგებს საზოგადოებრივი მეცნიერებებში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა საგანში შეფასების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ვერიფიკაცია, დიაგოსტიკური წერის შეფასების და ანალიზის ფორმები. წარმოდგენილია პროექტული სწავლების შეფასების რუბრიკა, დიაგნოსტიკური წერის შეფასება და ანალიზი. მოსწავლის შემოქმედებითი დავალება და მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი. საგან ,,ჩვენს საქართველოში“ მე-5 კლასის მოსწავლის შემოქმედებითი დავალება შეფასებული აქვს განმავითარებელი შეფასებით . შეფასებაში ყურადღება გამახვილებულია ზოგად უნარებზე. ნაშრომის ვიზუალურ მხარეზე. **რჩევა:** პედაგოგმა შეფასების დაწერისას ყურადღება გაამახვილოს ჩვენი საქართველოს სამიზნე ცნებებზე , ქვეცნებებზე, შედეგების ინდიკატორებზე და მათთან მიმართებით აჩვენოს თუ რა ცოდნას ფლობს მოსწავლე. იხელმძღვანელოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. რის საფუძველზეც რჩევაც უფრო მკაფიო იქნება და ნაშრომის გაუმჯობესების დინამიკაც უფრო ნათელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესის შესაბამისად. ამდენად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. დოკუმენტაციაში გაწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის დიაგნოსტიკური, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ასევე წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის

	მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობასა და გამჭვირვალობას. აღნიშნული მიდგომები ქმნის პირობებს მოსწავლის აკადემიური პროგრესის დაკვირვებისა და სწავლის შედეგების შეფასებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას.ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ბარათები მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ კურიკულუმში წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან , მიზნებთან და ამოცანებთან. წარმოდგენილია სხვადასხვა სახის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.განმავითარებელი შეფასებები ორიენტირებულია სამიზნე ცნებებზე და ემსახურება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება გააზრებას. **რჩევა:** სასურველია დანართ 2 (საბაზო საფეხურის კურიკულუმი) და დანართ 3 -ში (საშუალო საფეხურის კურიკულუმი) მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ათქულიანი სისტემით შეფასების ოთხი დონის ცხრილში ჩასწორდეს შეფასებების დასახელება დონეების მიხედვით: უნდა ეწეროს საშუალოზე მაღალი და წერია საბაზოზე მაღალი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება როგროც ზოგადი მოტორული უნარებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების დონე, ასევე, მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს. აღნიშნული რუბრიკები შესაბამისობაშია სამიზნე ცნებებთან და მიმართულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევისკენ. ასევე წარმოდგენილია კონკრეტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები. წარმოდგენილი მასალები აჩვენებს, რომ მასწავლებლებს აქვთ რუბრიკების შექმნის პრაქტიკული გამოცდილება. სკოლა მიზანმიმართულად იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, სადაც გაწერილია დონეების მიხედვით რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია V_VI კლასებში. **რჩევა - გასაუბრების დროს პედაგოგებს მიეცათ რჩევა, I-IV კლასებში , შეფასების რუბრიკებს მისცენ მეტი კონკრეტიკა და სრულ შესაბამისობაში მოიყვანონ სამიზნე ცნებებთან, კერძოდ, კონკრეტული დავალებისთვის, დეტალურად აღწერონ სამიზნე ცნებებთან მიმართებაში კრიტერიუმის მიღწევა.** **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სახელმწიფო ენა:

- სამივე საფეხურის კურიკულუმები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- კომპლექსური დავალებების ბარათები

- განხორციელებული კომპლექსური დავალებები

სპორტი

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების მაგალითები
- კათედრის ოქმები
- კომპლექსური დავალებების მაგალითები
- დიაგნოსტირების ანგარიშები

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- მე-3 და მე-4 კლასების მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს კურიკულუმები
- მოქალაქეობის მე-7, მე-8, მე-9 ,მე-10, მე-11, მე-12 კლასების, მოქალაქეობის პროექტული სწავლების კურიკლუმები.
- საბაზო და საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები
- არჩევითი საგნების (მეწარმეობის, ეკონომიკა და სახელმწიფოს საგნობრივი კურიკულუმები)

ესთეტიკური აღზრდა

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტები წარმოდგენილი ყველა საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა)
- კათედრის სხდომის ოქმები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- ბუნებისმეტყველების კურუკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურუკულუმები საბაზო და საშუალო საფეხურზე;
- განმსაზღვრელი და განმვაითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სამივე საფეხურზე;
- კათედრის სხდომის ოქმი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში;
- შემოქმედებითი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე;

მათემატიკა

- სადიაგნოსტიკო შეფასებები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები.კათედრის გეგმა/ოქმები.შეფასების რუბრიკები(განმსაზღვრელი,განმავითარებელი) მოსწავლის ნაშრომები,შემაჯამებლის ნიმუშები,
- ვერიფიკაციის მექანიზმი

ტექნოლოგიები

- კურიკულუმების ჩარჩო კომპიუტერულ ტექნოლოგიებში;
- განმავითარებელი შეფასების ნიმუში;
- განმსაზღვრელი შეფასების ნიმუში;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუში;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

უცხოური ენები:

- ორივე უცხოური ენის კურიკულუმები სამივე საფეხურისთვის;
- ორივე უცხოური ენის შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურუკულუმები ასევე მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურუკულუმის შესაბამისად. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივეს საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო დოკუმენტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, საკითხთა კლასტერები, ქვემიზნები და რესურსები. წარმოდგენილია მოქალაქეობის და გეოგრაფიის შემოქმედებითი დავალებების ნიმუშები. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს თითოეული სავალდებულო თემის ფარგლებში განსაზღვრულ ძირითად საკითხებთან მიმართებით ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება. საშუალო საფეხურზე „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“- ”საქართველოს დაცული ტერიტორიები-ბუნების დაცვა. მიმდინარე პროექტი საგან გეოგრაფიაში. მკაფიოდ ჩანს მოსწავლეზე ორიენტრებული სასწავლო პროცესი. გამოკვეთილია საგნობრივი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.აქტივობები ხელს უწყობს ფუნქციური უნარების, გამჭოლო კოპეტენციების და საგნობრივი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას. სასწავლო პროცესის წარმართვა მოსწავლეთა იტერესების მიხედვით კარგად ჩანს არჩევითი საგნის „მედიაწიგიერების“ კურიკულუმში. მასწავლებელთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან მასალებსა და აქტივობებს, ეს დოკუმენტებითაც დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძელზე, შეგვიძლია ვთქვათ რომ სასწავლო პროცესის წარმართვა ხდება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად არის დაგეგმილი — თემები, აქტივობები და შეფასების ფორმები ერთმანეთს შეესაბამება და უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

	სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძელზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესის წარმართვა ხდება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად.საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი მთლიანად ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ

	პრინციპებს, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორციელებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და კურიკულუმების განხილვა. წარმოდგენილია კათედრის ოქმები და ანგარიშის ფორმები. ასევე გაკვეთილებზე დასწრების ფორმები, რაც ადასტურებს სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვას. როგორც გასაუბრებაზე გამოჩნდა, კათედრა დიაგნოსტიკური მუშაობას ახორციელებს დაწყებით საფეხურზე, თუმცა წარმოდგენილი აქვთ ნიმუშის სახით მხოლოდ ბუნებასა და მე და საზოგადოებაში, ასევე V_VI კლასებში. რომელთა ანალიზსაც იყენებენ მომდევნო სასწავლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ასევე სკოლას გამოზგავნილი აქვს რემედიაციის ცარიელი ფორმები, თუმცა გასაუბრებით გაირკვა რომ მუშაობენ რემედიაციაზე, მაგრამ დოკუმენტალურად არ აქვთ აღწერილი პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტები ,რომლებიც ითვალისწინებს ადამინური რესურსების მართვის რეგულაციებს. (სკოლის მართვის პოლიტიკა, დებულება, სამსახურებრივი ინსტრუქციები და ა.შ) სადაც აღწერილია თუ როგორ მოხდება ადამიანური და მატერიალური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში და ახორციელებდეს პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. მაგალითად: საჭირების შემთხვევაში მასწავლებლის ჩანაცვლება,სასკოლო კალენდარის მართვა, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება .(თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა;) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეციერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ადასტურებს რომ სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული შეფასების მიზანი და შეფასების კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებისკენ. წარმოდგენლი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც აღწერილია თუ რა მექანიზმებით და პროცედურებით არის შესაძლებელი შეფასების ვერიფიკაცია. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია შეფასების სისტემა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, ასევე წარმოდგენილია დიაგნოსტიკური წერის, მასწავლებლის სასწავლო პროცესზე დაკვირების, შემოქმედებითი ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილია ყველა საგანში ესგ-ს სტანდარტთან შესაბამისიგანმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. რაც ადასტურებს რომ მასწავლებლებს აქვთ ცოდნა როგორ შეადგინონ სასწავლო თემის შესაბამისი რუბრიკები. სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემა დეტალურად აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მოსწავლები წინასწარ არიან ინფორმირებულები, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებიან ისინი, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას. რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები უმეტესად არის გაზომვადი და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში, კომპონენტებს, რომელთაც მინიჭებული აქვს ქულათა გარკვეული დიაპაზონი, კონკრეტულადაა გაწერილი თუ რა

	შემთხვევაში იღებს მოსწავლე წარმოდგენილ დიაპაზონებს შორის არსებულ ქულებს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და ობიექტურობას. ინგლისური ენის მე-6 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის სათაური და აღწერილი დავალება არ ემთხვევა ერთმანეთს. ასევე, აღნიშნული რუბრიკა ჯერ წარმოდგენილია ნარატივის სახით, შემდეგ ცხრილის სახით, რომლის კრიტერიუმების ნაწილი განსხვავდება ნარატივის სახით წარმოდგენილი რუბრიკის კრიტერიუმებისგან. რუსული ენის მე-6 კლასის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ერთობლივად აფასებს ზეპირ მეტყველებას (დიალოგის გათამაშება) და წერით კომუნიკაციას (წერილის მიწერა). **ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი** **რეკომენდაცია:** რუბრიკის სათაური და დავალების პირობა/იდეა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ერთი დავალების რუბრიკა წარმოდგენილი იყოს ერთი ფორმატით და კრიტერიუმები შეესაბამებოდეს დავალების პირობას. გადაიხედოს შესაფასებელი დავალებების პირობები და განისაზღვროს თუ რის შეფასებას ისახავს მიზნად, ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულება (მაგალითად, ზეპირი კომუნიკაცია) თუ რამდენიმე ერთად (მაგალითად ზეპირი და წერითი კომუნიკაცია). დავალების იდეა/პირობაც გაიწეროს შესაბამისად, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი თუ როგორ ხდება კონკრეტული მიმართულებების დავალებაში გაერთიანება და შეფასება.
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე. გამოყენებულია როგორც ტესტური, ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების რეგულარულ ფიქსირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის

	მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებისა. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან.
სპორტი	შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, სკოლის დოკუმენტებში ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის პრაქტიკა და გამოყენებული აქვთ მათი ნიმუშებიც. შეფასება დაგეგმილია ისე, რომ იყოს გასაგები, სამართლიანი და ობიექტური. ასევე, არსებობს მექანიზმი, რომელიც ამოწმებს რამდენად სწორად მუშაობს შეფასების სისტემა, რაც ზრდის მის სანდოობას. მკაფიო კრიტერიუმები ეხმარება როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს, უკეთ გაიგონ შეფასების პროცესი და შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრას წამროდგენილი აქვს შეფასების ზოგადი რუბრიკები დონეების მიხედვით გაწერილი, ასევე V-VI კლასებში კონკრეტული განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ვერიფიკაციის ამოცანებია: ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან; ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი; გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. სწავლის პროცესი ფასდება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით. მშობელს მოსწავლის შეფასება რეგულარულად ეცნობება ელექტრონული ჟურნალის საშუალებით. მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციას სკოლა განახორციელებს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტით, პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციით. სკოლა 2024-2025 სასწავლო წელს გეგმავს გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები-მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ექსტერნის ტიპისა და სემესტრული გამოცდის ჩატარება (მოსწავლის მოთხოვნის შესაბამისად).ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. შესაბამისად სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდენილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც სკოლა აანალიზებს მოსწავლეთა შედეგებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კანონდებლობის წესის დაცვით შენახულია მოსწავლის პირადი საქმეები. სკოლაში კათედრებზე შენახულია მოსწავლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული შემაჯამებელი/შემოქმედებითი დავალებები. დირექტორის მოადგილეებთან ინახება მასწავლებლების მიერ თითოეულ მოსწავლესთან მიღწეული შედეგების ანალიზი. სკოლა იცავს დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სახელმწიფო ენა

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- კომპლექსური დავალების შეფასების ნიმუშები
- განმავითარებელი კომენტარების ნიმუშები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის მექანიზმი

სპორტი

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების მაგალითები
- კათედრის ოქმები
- კომპლექსური დავალებების მაგალითები

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- USAID სამოქალაქო პროექტში ჩართულობის დადამადასტურებელი დოკუმენტი. ბიზნეს ფორუმზე წარდგენილი პროექტის განაცხადი.
- ხულოს მუნიციპალურ კონფერენციაზე მონაწილე მოსწავლეების ნაშრომები.
- მოსწავლის შემოქმედებით დავალებები გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში.
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათდრის სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმები დანართებით.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- რემედიაციის დოკუმენტის ჩარჩო .
- სასწავლო პროცესის შეფასება.
- დიაგნოსტიკური წერების შეფასება.
- დიფერენცირებული სწავლების აქტივობები.
- დიფერენცირებული სწავლის მიდგომებით დაგეგმილი გაკვეთილის გეგმა მოქალაქეობაში.მე-7 კლასი.

ესთეტიკური აღზრდა:

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტები წარმოდგენილი ყველა საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა)
- დიაგნოსტიკური შეფასების ამსახველი დოკუმენტები
- კათედრის სხდომის ოქმები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- ბუნებისმეტყველების კურუკულუმები დაწყებით საფეხურზე;
- ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურუკულუმები საბაზო და საშუალო საფეხურზე;
- განმსაზღვრელი და განმვაითარებელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სამივე საფეხურზე;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში ბიოლოგიაში;
- შემოქმედებითი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია სამივე საფეხურზე;

მათემატიკა:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
- კათედრის გეგმა/ოქმები.
- შეფასების რუბრიკები(განმსაზღვრელი,განმავითარებელი).
- მოსწავლეთა ნაშრომები,შემაჯამებლის ნიმუშები.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.
- ვერიფიკაციის დოკუმენტები

ტექნოლოგიები

დაწყებითი კათედრის საერთო მტკიცებულებები :

- 1-4 კლასის კურიკულუმები
- დავალების ბარათების რამდენიმე ნიმუში
- კათედრის სხდომის ოქმი
- კათედრის სამოქმედო გეგმები
- კათედრის ანგარიშები
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დიაგნოსტიკურის ანალიზი ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე დამატებითი რესურსები, რომლების ასახულია კურუკულუმშიც. დახმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, საკითხის შესაბამისი ელექტრონული რესურსები, რუკები, დოკუმენტური ფილმები. მტკიცებულებად წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმი, დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. მტკიცებულად წარმოდგენილია სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები , სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ იმ ძირითად და დამხმარე რესურსებს, რომლებიც კურიკულუმებშია მითითებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკაში სასწავლო პროცესში გამოიყენება როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები და ისინი შეესაბამება კურიკულუმში მითითებულ მასალებს. სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში კურიკულუმში მითითებული რესურსები ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება სკოლაში რეალურად გამოყენებულ სახელმძღვანელოებს. ცალკეულ კლასებში წარმოდგენილია ისეთი რესურსები, რომლებიც არ არის შერჩეული გრიფირების პროცესში, რაც ართულებს კურიკულუმისა და პრაქტიკული სწავლების შესაბამისობას. აღნიშნული ხარვეზი დეტალურად აღწერილია ზემოთ შესაბამის პუნქტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის

	გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები(როგორც მატერიალური ისე ელექტრონული რესურსები) გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში (მაგ., ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ნიშნულები, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდები, ბადმინტონის ჩოგნები და სხვ. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგანში „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია სხვადასხვა ელექტრონული სასწავლო რესურსის ბმული, რაც აჩვენებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ საჭიროების მიხედვით თავადაც ეძებენ და იყენებენ სხვადასხვა ონლაინ რესურსს. მათი დახმარებით სასწავლო პროცესი ხდება უფრო საინტერესო, ეფექტური და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები და ბმულები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. სკოლა იყენებს როგორც სკოლაში არსებულ მატერიალურ რესურსებს ასევე დამხმარე ელექტრონულ რესურსებსაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებულ დამატებითი სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, განხილული და დამტკიცებული აქვთ რესურსების ვალიდაციის კრიტერიუმები. ასევე წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული რესურსების ჩამონათვალი. არსებული რესურსებით იგეგმება და ხორციელედება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის და შესაძლებელია ამ რესურსების დახმარებით სასწავლო შედეგების მიღწევა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრაზე როდესაც არჩევენ ამა თუ იმ რესურს, წინასწარ ხდება მისი შეფასება რამდენად უზრუნველყოფს იგი დასახული მიზნების მიღწევას, შესაფერისია თუ არა იგი ასაკობრივად ამა თუ იმ კონრეტული ასაკობრივი ჯგუფისთვის და რამდენად მრავლფეროვანია. პედაგოგები თვლიან, რომ მათი რესურსები არის კურიკულუმებში მოცემული თემების შესაბამისი. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმებში წარმოდგენილი ლინკებისა თუ სახელმძღვანელოების გადამოწმებისას. აქედან გამომდინარე, **აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევას შინაარსობრივი შესაბამისობისა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ხორციელდება მასწავლებლების მონაწილეობით და გამოიყენება სასწავლო პროცესში მიზნობრივად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ კათედრა შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს და ახდენს დამხმარე რესურსების ვალიდაცია /დადასტურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე საგნის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“, კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი (school.emis.ge), ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს. რესურსი არის საგნობრივი ექსპერტების მიერ რეკომენდებული და ეხმარება მოსწავლეებს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები ვალიდირებულია, რასაც ადასტურებს კათედრის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სხვა მატერიალური რესურსები, რაც შესაძლებლობას იძლევა გახორციელდეს კურუკულუმით განსაზღვრული სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობები. ვადასტურებ რომ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს კურუკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** სასურველია ქიმიის ლაბორატორიაში დამონტაჟდეს გამწოვი და იყოს წყლის ონკანი. ასევე კარგი იქნება თუ მეტი ყურადღება მიექცევა უსაფრთხოების ზომებს ლაბორატორიაში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე დამტკიცებული სასწავლო რესურსების ჩამონათვალი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი მატერიალური რესურსით და ასევე, გათვალისწინებულია ზღვრული რაოდენობა. ამდენად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესის ორგანიზება და რესურსების გამოყენება გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობისა და კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების შესაბამისად. არსებული მატერიალური რესურსი საკმარისია სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფენ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: სასურველია, სკოლამ დამატებითად შეისყიდოს ტანვარჯიშის სპორტული ინვენტარი (მაგ., ტანვარჯიშის ლეიბები, ტანვარჯიშის კედელი, ბაგირი, მცირე ზომის ბურთები), რომ გაკვეთილზე შესაძლებელი გახდეს მრავალფეროვანი ვარჯიშების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილი სასწავლო პროცესის წარმართვას.**

ტექნოლოგიები	სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია და აღჭურვილია კომპიუტერებით. ლაბორატორიაში კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება თითოეული კლასის მოსწავლეთა რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესის სრულფასოვან მიმდინარეობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმის ფარგლებში წარმოდგენილი და გასაუბრებაზე გამოკვეთილი დამატებითი რესურსები, კათედრას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ესგ-თი გათვალისწინებულ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში დასაქმებულია 23 მასწავლებელი: 21 უფროსი მასწავლებელი და 2 მოწვეული მასწავლებელი

სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება.**
- **ESCOOL-ის ბაზა**
- **პედაგოგთა პირადი საქმეები**

სახელმწიფო ენა:

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- პედაგოგებთან და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებები
- კურიკულუმები
- განხორციელებული პროექტები
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები

სპორტი:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმები;
- განმავითარებელი შეფასების მაგალითები
- კათედრის ოქმები
- კომპლექსური დავალებების მაგალითები
- სპორტული ინვენტარის ფოტომასალა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი.
- რემედიაციის დოკუმენტის ჩარჩო .
- სასწავლო პროცესის შეფასება.
- დიაგნოსტიკური წერების შეფასება.
- დიფერენცირებული სწავლების აქტივობები.

ესთეტიკური აღზრდა:

- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- ვერიფიკაციის დოკუმენტები წარმოდგენილი ყველა საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა)
- კათედრის სხდომის ოქმები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- კათედრის სხდომის ოქმი;
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტო მასალა;

მათემატიკა

- კათედრის დებულება/გეგმა /სხდომის ოქმები.
- სკოლის მიერ მოწოდებული ფოტომასალა.

ტექნოლოგიები

- კურიკულუმების ჩარჩო კომპიუტერულ ტექნოლოგიებში;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება სამი მიმართულებით:1.მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; 2.სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); 3.სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).სამომავლოდ სკოლა გეგმავს დავხეწოს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება კვლევა - ანალიზზე დაფუძნებით, რომელშიც ჩართული იქნებიან სასკოლო საზოგადოების წევრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში ჩანს, თუ როგორ განსაზღვრავს მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კათედრებმა წარმოადგინეს მონიტორინგის ფორმები , რეფლექსიისა და თვითშეფასების ფორმები,რომლებშიც იკვეთება პრობლემის აღმოჩენა და გადაჭრის გზების დასახვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერასა და დახმარებას. გაწერილია, როგორ განხორციელდება საგნობრივი კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით,მონიტორინგი და შეფასება წარიმართება სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მიზნით. სკოლის მასწავლებლები მზად არიან შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის გამოსაყენებლად, რათა მოხდეს მათ მიერ განხორციელებული სწავლის პროცესის ანალიზი, რაც შესაბამისად აისახება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად. სკოლაში დანერგილია კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა, იკვეთება პედაგოგთა ღიაობა და მზაობა მიიღონ რჩევები და მითითებები მათივე პედაგოგიური პრაქტიკის დახვეწის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია**
- **კათედრების ოქმები**

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროები**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ
როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. სასწავლო პროცესის /კურიკულუმის შეფასებას ახორციელებს დირექცია, საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი, სკოლის მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების პრაქტიკა. პედაგოგები

აკეთებენ თვითშეფასებას და სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ ერთმანეთის შედეგებს. შემუშავებულია კონკრეტული რუბრიკები. დროგამოშვებით კეთდება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა.ამ მიმართულებით სკოლა გეგმავს სამომავლოდ ელექტრონული კითხვარების დამზადებას, რაც მეტი ობიექტურობისა და მონაცემების შენახვსი შესაძელობლობას მისცემს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში დანერგილია მშობლებთან შეხვედრებისა და საჭიროებების განხილვის პრაქტიკა. მსგავს შეხვედრებზე აქცენტი კეთდება ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებზე,როგორიცაა სასკოლო სივრცე, გარემო, დამოკიდებულებები.ამ ეტაპზე სკოლის შედეგებისა და სასწავლო პროცესების შეფასების მონაცემები არის დამრიგებელთა და პედაგოგთა ჩანაწერები, თუმცა სამომავლოდ იგეგმება კითხვარების გაკეთება, რომელშიც ჩაერთვება სასკოლო საზოგადეობა და თემი, რათა შეფასებისას გათვალისწინებული იქნას ყველა კონტექსი და მიმართულება. შეფასება ხორცილდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს როგორც სასკოლო, ისე არასასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), შესაბამისად ხდება მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

ამ ეტაპისათვის სკოლა სასწავლო პროცესების შეფასების ზეპირი გამოგკითხვის, გასაუბრებების-ინტერვიურების მეთოდს იყენებს. პედაგოგებს აქვთ პირად დღიურებში ჩანაწერები,რომელთა ანალიზსაც იყენებენ წლის ბოლო ანგარიშებში. კლასის საათებზე ხდება მოსწავლეთა გამოკითხვა,მათი საჭიროებებისა და ინტერესების დადგენა, მშობლებთან შეხვედრებზე განიხილება პრობლემური საკითხები. ხდება აღნიშნული მონაცემების გაანალიზება.სკოლა სამომავლოდ გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებას და მონაცემთა შეგროვების პროცესის დახვეწას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხავდასხვა ფაქტორების გათვალისწინებით**

სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ისეთი ფაქტორები და მონაცემები, როგორებიცაა : მოსწავლეთა ინტერვიურების შედეგები, მშობელთა გამოკითხვის შდეგები, კოეგების ურთიერთდასწრებისა და საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვების შედეგები,რასაც სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს სკოლის ადმინისტრაცია და ანალიზისას გამოკვეთილ საჭიროებებს გამოიყენებს მომავალი სასწავლო წლის დასაგეგმად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ვერიფიკაციის დოკუმენტები წარმოდგენილი ყველა საფეხურზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა)
- კათედრების სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც მოიცავს ოთხ ეტაპიან ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე). განვითარების ეტაპი გულისხმობს ნაკლოვანებების მიზეზების განსაზღვრას და მათი აღმოფხვრისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ

დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან მასწავლებლების მიმართ გაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე და გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრის დონეზე. მასწავლებლები, კათედრის სხდომაზე განიხილავენ ურთიერთდასწრების გაკვეთილებს. ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს, რომელიც ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში, კათედრების დონეზე ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლის დროსაც საგნობრივი ჯგუფების მიხედვით გაანალიზდება კურიკულუმის დანერგვის პროცესი და გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებაში მასწავლებელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულ უმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. კათედრების ფარგლებში განიხილება მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები: კერძოდ, შემოქმედებითი პროდუქრის შექმნის მიზნით დაგეგმილი აქტივობებიდან რომელმა გაამართლა/არ გაამართლა, რა იყო ამის მიზეზი. მასწავლებლები აკეთებენ რეფლექსიას წინა წლის კურიკულუმის განხორციელებასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის დაგეგმვის დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურუკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (ბრძანება №01–03/42);
2. სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (ბრძანება №01–03/43);
3. მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
4. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
5. Skolebi.emis.ge -ზე გამოქვეყნებული დოკუმენტები;
6. სკოლის შინაგანაწესი;
7. სასკოლო სასწავლო გეგმა;
8. დისციპლინური კომიტეტის ოქმები;
9. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
10. საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი;
11. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
12. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
13. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
14. კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
15. ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება.
16. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
17. 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
18. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

თარიღი; 16.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზაზა ჭანტურია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თამთა კვარაცხელია;

ნინო აბესაძე ;

ინგა მოსიძე;
ნინო ბლუაშვილი ;
მარიკა ბოცვაძე;

მარინე მორჩილაძე

ირმა ხუნდაძე ;

მაკა ყიფშიძე ;

ქეთევან ქობალია ;

ქეთევან ცირეკიძე ;